სკოლის საჭიროების კვლევა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო

სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებელი:

ნინო სამხარაული.

2020-2021 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი.....6

თავი I…….....8

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მიზნები 8

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ.....8

1.2 მოკლე ინფორმაცია საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.....11

1.3 კვლევის აქტუალობა.....12

1.4 კვლევის მიზანი.....14

1.5 კვლევის ამოცანა.....15

1.6 კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა და ქვეკითხვები.....15

1.7 ჩემი ვარაუდები.....16

თავი II…….....17

ლიტერატურის მიმოხილვა.....17

2.1.რა არის სკოლის საჭიროების კვლევა.....17

2.2. მოსწავლის შეფასების მიზნები,პრინციპები და ამოცანები.....17

2.3 განმავითარებელი შეფასება.....19

2.4 განმავითრებელი შეფასების ინსტრუმენტები.....24

თავი III …….....33

კვლევის მეთოდები.....33

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევა.....33

3.2 კვლევის ინსტრუმენტები.....33

3.3 შერჩევა.....34

3.4 მონაცემთა შეგროვება.....34

3.5 კვლევის ვადები.....34

თავი IV.....39

მონაცემთა ანალიზი.....39

4.1 მონაცემთა ანალიზი.....39

4.2. გამოკითხვა-ანკეტირების შედეგები.....41

4.3 კვლევის პროცესში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შეფერხებით გამოყენებასთან დაკავშირებით გამოკვეთილი მიზეზები.....71

4.4 ძირითადი დასკვნები.....73

თავი V.....74

ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპები.....74

5.1ინტერვენციები.....74

5.2 ინტერვენციის შედეგები.....78

5.3 ძირითადი დასკვნები.....79

თავი VI……..79

რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.....79

6.1 რეკომენდაციები.....80

6.2 კვლევის შეზღუდვა.....81

თავი VII 82

დასკვნა.....82

გამოყენებული ლიტერატურა.....83

დანართები.....84

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.....101.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიშს.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I - თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა. II -თავი ეხება სკოლის საჭიროების კვლევის არსს, სხვადასხვა ლიტერატურას; სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს, შეფასების, სწავლისა და სწავლების შესახებ. III- თავი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიასა და კვლევის ვადების შესახებ. IV -თავი ეხება კვლევის შედეგების მიმოხილვასა და კვლევის შედეგების ანალიზს. V- თავში განხილულია ინტერვეციის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპები. VI- თავში აღწერილია კვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები; რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანება. ხოლო VII- თავში მოცემულია კვლევის დროს გამოყენებული ლიტერატურა, დანართები და სხვა.

შესავალი

2020-2021 სასწავლო წელს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების,მასწავლებლების და მოსწავლეების მონაწილეობით.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის არც თუ მცირე პერიოდის განმავლობაში სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებამ, კოლეგებთან კომუნიკაციამ და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობამ, გამოკვეთა რამდენიმე პრობლემა,რომლის დაძლევაც გვიწევს სასკოლო საზოგადოებას,თემს და მოსწავლეებს. ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, აქტუალური,რომელიც ბევრი პეადაგოგისთვის, „აქილევსის ქუსლად“ მიიჩნევა -განმავითარებელი შეფასებაა.

განმავითარებელი შეფასება რთულია იმ თვალსაზრისითაც,რომ ცალკეული მოსწავლის განწყობა,დამოკიდებულება და შეხედულებებია გასათვალისწინებელი. თუმცაღა,მინდა ავღნიშნო,რომ მოსწავლის განწყობაზე განმავითარებელი შეფასება შედარებით ნაკლებად დამთრგუნველად აღიქმება,ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება.

ჩემს პრაქტიკაში, და თუ კოლეგების გამოცდილებასაც გავითვალისწინებ, უმეტესწილად მიმდინარე ან შემაჯამებელი-განმსაზღვრელი შეფასებები კეთდება,რათა მოხდეს სასურველი ცოდნის აღრიცხვა სასწავლო გეგმის მიხედვით. მოსწავლეთა უმრავლესობისთვის ბუნდოვანი და გაუგებარი რჩება მთლიანად თემა ან უკეთეს შემთხვევაში,თემის გარკვეული ნაწილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ მიუხედავად იმისა რომ სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგები ვიყენებთ განმავითარებელ შეფასებას,მისი კვლევა და ანალიზი მინიმალურია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შესაბამისად არცოდნის გამო. ხშირად შემინიშნავს,რომ მასწავლებლები უმეტესად არ იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს/ან იყენებენ, მაგრამ მათი წილი გაკვეთილის მსვლელობისას და მოსწავლეთა შეფასებაში უმნიშვნელოა . როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სკოლაში არჩეული ვარ ტუტორად და „მომაგრებული“ მყავდა

მაძიებელი- ბიოლოგიის სპეციალობით.ესეც გახდა ერთგვარი სტიმული იმისა,რომ სკოლაში განმეხორციელებინა კვლევა, სადაც სხვა კოლეგებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა მაძიებელიც, რომლისთვისაც კვლევაში მონაწილობა გამოცდილების და კოლეგებთან აქტიური კომუნიკაციის, თანამშრომლობის ერთ-ერთი კარგი საშუალება იქნებოდა.

გადავწყვიტე,ჩავღრმავებოდი ამ საკითხს,მით უფრო,რომ ეს უკავშირდებოდა მეტად დაძაბულ სასწავლო წელს, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო. ვფიქრობ, რომ აღნიშნული კვლევა და კვლევის შედეგები სარგებელს მოუტანს როგორც პედაგოგებს და მოსწავლეებს,ისე მთლიანად სკოლას. გადავწყვიტე, დავხმარებოდი კოლეგებს, აქტიურად ესარგებლად განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით, რადგანაც, ვფიქრობ,რომ განმავითარებელი შეფასება ერთ-ერთი მძლავრი იარაღია,იმოქმედო ცვლილებებზე და ბიძგი მისცე უკეთესობისკენ სწრაფვას. რადგან განმავითარებელი შეფასებით შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება; მოსწავლეს საშუალებას აძლევს, იპოვოს და აღმოაჩინოს საკუთარი თავი, იმასთან დაკავშირებით,თუ სად იმყოფება განვითარების თვალსაზრისით.ეხმარება მოსწავლეს უკეთესად შეაფასოს საკუთარი ცოდნა. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს საშუალებას აძლევს სწორად და თანმიმდევრულად დაინახოს საკუთარი განვითარების საფეხურები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესში მასწავლებელთა მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი მიზეზების გამოვლენა; პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება,ინტერვენციების შემუშავება; დაგეგმვა და განხორციელება; ახალი მიდგომების

დანერგვა სკოლაში; მიღწეული შედეგების შეფასება და კოლეგებისათვის გაზიარება;რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიმდინარეობის დროს გამოვიყენე თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

ვფიქრობ,რომ განხორციელებულმა აქტივობებმა- მასწავლებელთა უზრუნველყოფამ დამხმარე რესურსებით, თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სასკოლო გარემო გამხდარიყო უფრო თანამშრომლობითი,საინტერესო და ჯანსაღი. კვლევის ერთ-ერთ ღირებულებას წარმოადგენს ის ციფრული რესურსები,რომელიც კვლევის ფარგლებში შეიქმნა.

ვფიქრობ,კვლევის შედეგების სასკოლო ცხოვრებაში გათვალისწინება ხელს შეუწყობს და აამაღლებს პედაგოგთა პროფესიულ დონეს,რაც თავის მხრივ აისახება მოსწავლეთა სწავლასა და განვითარებაზე.

განხორციელებული კვლევა საინტერესო იქნება სკოლის ადმინისტრაციისთვის, პედაგოგებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ეხლა იწყებს საკუთარ პედაგოგიურ,თუ სკოლის საჭიროების კვლევას. სწორედ ამ მიზნით მოვახდინე კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგებთან.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მიზნები

1.1ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლა სწავლებას ახორციელებს სამივე (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურზე. სკოლა

მცირეკონტიგენტიანია. სკოლაში 198 მოსწავლე სწავლობს 105 დაწყებით, 58 საბაზო და 35 საშუალო საფეხურზე. აქედან 17 მოსწავლე ქართველია, ხოლო 181 მოსწავლე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი-აზერბაიჯანელი. სკოლა აერთიანებს 7 კათედრას,სადაც მოღვაწეობს 24 პედაგოგი, რომელთაგან 1-პრაქტიკოსია, 1- მაძიებელია, 18- უფროსი, 1 წამყვანი და 3 -წამყვანობის კანდიდატია. საბაზო-საშუალო საფეხურზე სწავლობს 93 მოსწავლე, რომელსაც ასწავლის 19 მასწავლებელი.

სკოლა საკლასო ოთახების სიმცირის გამო ორცვლიანია. პირველი ცვლის კლასებია საბაზო -საშუალო საფეხურის ყველა კლასი(VII-XII),მეორე ცვლის კლასებია: I,II,III,IV,V,VI. ქვეყანაში შექმნილი კოვიდ -პანდემიის გამო, ჯანდაცვის სამინისტროსა და განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციით, სკოლამ შეიმუშავა სტრატეგია,რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველი ცვლის კლასებს წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის კლასები (I,II,III,IV, V, VI), ხოლო მეორე ცვლის კლასებია: საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასი (VII,VIII-ა,ბ; IX,X, XI,XII). სკოლა,სამწუხაროდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე, ციფრული კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა ინტერნეტი არის და ფუნქციონირებს რამოდენიმე კომპიუტერი. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ აქვს კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტადიონი.სკოლის გარეთა ეზო ასევე, კეთილმოწყობილია. სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა,მიუხედავად მცირე ფართისა,მაინც ფუნქციონირებს. სკოლას მეტ-ნაკლებად აქვს მოსწავლეთა სწავლებისათვის საჭირო რესურსი. სკოლაში არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო (ქიმიის,ფიზიკის,ბიოლოგიის) კაბინეტი. ამასთან,ფართის სიმცირის გამო,შეუძლებელია კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების

(ცდა,ექსპერიმენტი) ჩატარება. ასევე,განვიცდით ამ მხრივაც დეფიციტს. მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, სკოლის პედაგოგები აქტიურად ზრუნავენ საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის განვითარებაზე. სკოლა 2020 სასწავლო წლიდან ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში, სადაც პედაგოგები აქტიურად გადიან სამუშაო შეხვედრებს, ესწრებიან სხვადასხვა ვებინარებს, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკოლაში დაგეგმილ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებში,ახორციელებენ სასწავლო პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობებს. სკოლას 2019-2020 სასწავლო წლიდან ჰყავდა ბიოლოგიის მაძიებელი მასწავლებელი, რომელმაც 2021 წლის იანვარში შეიცვალა სტატუსი და გახდა უფროსი მასწავლებელი. მიუხედავად სიძნელეებისა, პირველ რიგში კი ქვეყანაში შექმნილი საგანგებო, ეპიდემიოლოგიური ვითარებისა,რომელიც კოვიდ -პანდემიას უკავშირდება, სკოლაში მეტ-ნაკლებად შექმნილია თანამშრომობითი გარემო. მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს წარმატებული პრაქტიკის გაკვეთილებსა და პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მიღებულ ცოდნას. ასევე, დისტანციური სწავლების სიახლეებს და პლატფორმა -Teams- ის გამოყენების შესაძლებლობებს. მასწავლებლები ხშირად ვმსჯელობთ სხვადასხვა ტიპის პრობლემებზე. ურთიერთთანამშრომლობით, ურთიერთდახმარებითა და საკუთარი წარმატებული პრაქტიკის გაზიარებით, ასევე „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის დახმარებით, ერთობლივად ვიბრძვით არსებული პრობლემების შესამცირებლად და აღმოსაფხვრელად.

1.2.მოკლე ინფორმაცია საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.

მე ვარ ნინო სამხარაული. 2001 წელს დავამთავრე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლა, 2006 წელს კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, კვალიფიკაციით -ქიმიკოსი.

2006 წლიდან ვასწავლი ქიმიას სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში. 2013 წლიდან მუშაობა დავიწყე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში,სადაც ასევე, ვასწავლი ქიმიას. 2019 წელს ასევე მუშაობა დავიწყე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლაში,ქიმიის მასწავლებლად. ვარ სერტიფიცირებული მასწავლებელი ქიმიაში 2013 წლიდან. 2019 წლიდან წარმოვადგენ ქიმიის წამყვან მასწავლებელს.

აღნიშნულ სკოლებში ვასწავლი მე-8 დან მე- 11 კლასების ჩათვლით ყველა კლასს. წარმოვადგენდი „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“ საქართველოს მიერ ინიცირებულ „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში მუღანლოს საჯარო სკოლის სამუშაო შეხვედრების ფასილიტატორს, რის საფუძველზეც, 2017-2018 სასწავლო წლებში აქტიურად ვახორციელებდი პედაგოგთა სხვადასხვა ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრებს. ჩატარებული მაქვს 15-მდე სამუშაო შეხვედრა პედაგოგთა სხვადასხვა ჯგუფებთან. ასევე,ჩართული ვიყავი და გავლილი მაქვს „ლიდერობის აკადემიის“ სრული კურსი. 2019 წლიდან სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ არჩეული ვარ ტუტორად, რომლის ფარგლებშიც, ამავე სკოლის

მაძიებელი-ბიოლოგიის მიმართულებით- ლანა ბარბაქაძე, რომელიც სკოლამ „მომამაგრა“, აქტიური ურთიერთთანამშრომლობითა და აქტიური სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის საფუძველზე, გახდა უფროსი მასწავლებელი. ასევე, 2020 წლის ახალი სასწავლო წლიდან, არჩეული ვარ, ამავე სკოლის ბაზაზე „ხარისხის განვითარებისა პროფესიული მხარდაჭერის“ ჯგუფის წევრად. 2020 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული პროექტ -„ახალი სკოლის მოდელში“. ვარ აქტიური, შრომისმოყვარე, მოტივირებული და სიახლეების მოყვარული მასწავლებელი. ვაცნობიერებ განათლების სისტემაში არსებულ სირთულეებს, გამოწვევებს, პრობლემებს, რის გამოც ყოველთვის ვცდილობ, სწორად გავაანალიზო ჩემს მიერ მიღწეული შედეგები ამ სფეროში და საჭიროებისამებრ დავგეგმო საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა.

1.3 კვლევის აქტუალობა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ ჩანს,რომ უკანასკნელ წლებში სასკოლო-სასწავლო პრაქტიკაში ადგილს იმკვიდრებს და საკმაოდ აქტუალური ხდება განმავითარებელი შეფასება. ***„განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე“*** (ეროვნული სასწავლო გეგმა,თავი VII, მუხლი 28)[1]. ***„განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, უზრუნველყობს მოსწავლეთა ინფორმირებას, როგორ გაიუმჯობესონ სწავლის შედეგები, ეხმარება მათ თვითშეფასებასა და სხვათა შეფასების უნარების ჩამოყალიბებაში, ასევე,წარმატების მიღწევაში. იძლევა,მოსწავლის განვითარების***

დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას“. (ეროვნული სასწავლო გეგმა, კარი I, თავი VII, მოსწავლის შეფასების სისტემა, მუხლი 27.მუხლი 29),[1] განმავითარებელი შეფასების საფუძველზე, მოსწავლეს და მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესში ცვლილებების შეტანა შეუძლიათ,ეს კი ხელს უწყობს სასწავლო მიზნისკენ წარმატებით სვლას. ღირებული უკუკავშირი და განმავითარებელი შეფასება კი თავის თავში რწმენას მატებს მოსწავლეს.

„სწავლაში მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს,არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“- ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის ჩანაწერებში,ნინო ლაბარტყავას სტატიაში: „რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება“,[4]. იმისათვის რომ მოსწავლემ საკუთარი ძალები განავითაროს და წარმატებას მიაღწიოს,მასწავლებელმა მუდმივად თვალყური უნდა ადევნოს და დაეხმაროს მოსწავლეს,რათა სწორი მიმართულებით განაგრძოს სვლა.

განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება მასწავლებელს საშუალებას მისცემს უკეთესად შეამოწმოს თითოეული მოსწავლის გაგება-გააზრების დონე, მათი განვითარების პროგრესის დონე და დაფიქრდნენ იმაზე,თუ რა დაეხმარება თითოეულ მოსწავლეს მიზნის მიღწევაში.

დღეს,ძალზედ მნიშვნელოვანია, ისეთი მოსწავლეების აღზრდა,რომელიც აღჭურვილი იქნება 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით, რადგან ეს უკანასკნელი მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

1.4 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია,იმის დადგენა,თუ რა აფერხებს და ხელს უშლის მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. ასევე,კვლევის მიზანია პრობლემის გადაჭრის სავარაუდო,ოპტიმალური გზების ძიება/პოვნა,რაც პედაგოგებს დაეხმარება რეალურ, სასწავლო-სასკოლო სივრცეში გააუმჯობესონ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესი.კვლევის მიზანს წარმოადგენს ასევე, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება/ჩამოყალიბება; დაგეგმვა; განხორციელება; სიახლეების, ახალი სტრატეგიების და მიდგომების დანერგვა სასკოლო სივრცეში. ასევე, კვლევის ფარგლებში,მიღწეული შედეგების შეფასება; კოლეგებისათვის გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზანი:

- ✓ სასწავლო პროცესში მასწავლებელთა მიერ გაკვეთილზე შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა.
- ✓ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.
- ✓ ინტერვენციების შემუშავება.
- ✓ დაგეგმვა და განხორციელება.
- ✓ ახალი იდეების, სტრატეგიების სასკოლო ცხოვრებაში დანერგვა.
- ✓ მიღწეული შედეგების შეფასება.
- ✓ კოლეგებისათვის გაზიარება.
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება.

1.5 კვლევის ამოცანა.

კვლევის ამოცანაა,პასუხი გასცეს კვლევის მთავარ კითხვას: **„რა არის პედაგოგებისთვის განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები**“. როგორ გადავლახოთ არსებული სირთულეები და ხელი შევუწყოთ მათ გამოსწორებას.

1.6 კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა და ქვეკითხვები

ქვეკითხვები, კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად არის შემდეგი:

- ✓ როგორია პედაგოგთა წინასწარი განწყობა განმავითარებელი შეფასების გამოყენების მიმართ;
- ✓ რამდენად კარგად იცნობენ და იყენებენ პედაგოგები განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს საგაკვეთილო პროცესში;
- ✓ რა არის განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზი;
- ✓ რა არის საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი/ფაქტორები;
- ✓ რა მიზნების, რა გზების მონახვაა საჭირო პედაგოგებში, რათა უფრო ეფექტურად და შედეგიანად იქნეს გამოყენებული განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები.

1.7 ჩემი ვარაუდები

ვფიქრობ,სავარაუდო მიზეზები,რის გამოც პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში ვერ/არ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, არის შემდეგი:

1) არ აქვთ სათანადო ინფორმაცია განმავითარებლი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ.
2) არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია განმავითარებელი შეფასების აქტუალობის და მიზნობრიობის შესახებ.
3) იცნობენ,მაგრამ სწორად ვერ ახორციელებენ.
4) დრო არ აქვთ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გასაცნობად და დასაუფლებლად.
5) შესაძლოა,ფლობენ პედაგოგები განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, მაგრამ დრო არ რჩებათ მათ გამოსაყენებლად.
6) მეთოდური მასალა და ლიტერატურის ნაკლებ ხელმისაწვდომობა.
7) კოლეგების მხრიდან ურთიერთდეფიციტი.
8) სკოლაში რესურსების (თაბახის ფურცელი,ქსეროქსი, ინტერნეტი,პრინტერი) არასაკმარისობა.
9) დირექციის არასათანადო ხელშეწყობა.

10.) მოსწავლეთა არაკეთილგანწყობა აღნიშნული საკითხის მიმართ.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

2.1.რა არის სკოლის საჭიროების კვლევა.

სკოლის საჭიროების კვლევა კონკრეტული სასწავლო დაწესებულების პრობლემის გამოვლენის,სირთულის დაძლევის და უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ჩატარებული აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც ამავდროულად ახალი იდეების, ინოვაციების,სკოლის ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად მიმართული ქმედებაა.ასეთი ტიპის კვლევაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სრული სპექტრი, რომლებიც ერთობლივად ცდილობენ მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.[7] (http://mastsavlebeli.ge/?p=281)

2.2 მოსწავლის შეფასების მიზნები,პრინციპები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის

უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და მკვიდრი წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანმიმდევრულ გამოყენებისაკენ. ამ დროს მოსწავლემ წინასწარ იცის,რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

სკოლაში,როგორც ცნობილია,შეფასება არის ორგვარი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება კი თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზეა მიმართული.[9]

(https://skhivi.edu.ge/მოსწავლეთა-შეფასება/); [10]-

(https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5265_1.pdf)

2.3 განმავითარებელი შეფასება

ხომ ვერ მეტყვით, საით უნდა წავიდე?
– გააჩნია, სად გინდა მისვლა.
– ამას მნიშვნელობა არ აქვს.
– მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, საით უნდა წახვიდე".

ლუის კეროლი
„ელისი საოცრებათა ქვეყანაში".

თუკი თითოეული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესს მოგზაურობად აღვიქვამთ, მაშინ განმავითარებელი შეფასება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოგზაურობის პროცესში მოსწავლეებისთვის გზის ჩვენება.

სასურველი აკადემიური შედეგის მისაღწევად მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად ადევნონ თვალი, თუ საით მიდიან მოსწავლეები. განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც შეძენილ ცოდნასა და უნარებს აფასებს, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ გავარკვიოთ, მივაღწიეთ თუ არა შედეგს. ამგვარი შეფასება მნიშვნელოვანია, როცა მოგზაურობის კონკრეტული მონაკვეთი დასრულდება – მოსწავლემ და მასწავლებელმა უნდა ნახონ, მიაღწია თუ არა მოსწავლემ, მაგალითად, A პუნქტს, ან იქნებ გზა აებნა და მოხვდა B პუნქტში. მასწავლებელს შეუძლია მუდმივი თვალყურის დევნებით და მიმართულების მიცემით დაეხმაროს მოსწავლეს, რომ ის არ ასცდეს გზას. ეფექტური განმავითარებელი შეფასება ყველაზე საიმედო საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გზას არ გადაუხვიონ.

გამოცდილი მასწავლებლები ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ არ არქმევენ ამ სახელს და არ გამოყოფენ ცალკე, როგორც სწავლებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს. ალბათ ამის გამოცაა, რომ პირად საუბრებში, როცა მასწავლებლებს ვეკითხებით, იყენებენ თუ არა განმავითარებელ შეფასებას, ისინი გვპასუხობენ, იშვიათად ვიყენებთ, ამისთვის დრო თითქმის არ გვრჩებაო. მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას ძირითადად აღიქვამენ, როგორც მოსწავლეთა დავალებებზე გაკეთებულ წერილობით კომენტარს/უკუკავშირს.

განათლების სპეციალისტებმა განმავითარებელი შეფასების არაერთი განმარტება შემოგვთავაზეს მას შემდეგ, რაც პირველად გამოიყენეს ეს ტერმინი (Wiliam, 2011). თუ ამ დეფინიციებს შევაჯამებთ, დაახლოებით ასეთ განმარტებას ჩამოვაყალიბებთ: „***განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა*** *თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეგროვებას, მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონეზე და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად*. წერს თავის სტატიაში სოფო გორგოძე,[2].იმ საშუალებებს, რითაც მსგავს ინფორმაციას ვაგროვებთ, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს ვუწოდებთ.

ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუკი იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე მხრივ, ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ შეიძლება ემსახურებოდეს განმავითარებელი შეფასების პროცესს და ზოგჯერ – არა. მაგალითად, კითხვების დასმა ცნობილია, როგორც განმავითარებელი შეფასების

მძლავრი ინსტრუმენტი. თუმცა ზოგ შემთხვევაში კითხვების დასმა ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში კი – არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე.

როგორ ეხმარება განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს? განმავითარებელი შეფასება მას აძლევს საშუალებას, შეამოწმოს მოსწავლეების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე; იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში. [2] (http://mastsavlebeli.ge/?p=11953)

განმავითარებელი შეფასება ყველაზე ეფექტურია, მაშინ როცა:

- მოსწავლეებმა ზუსტად იციან, რა უნდა ისწავლონ.
- მოსწავლეები იღებენ რეგულარულ უკუკავშირს საკუთარ პროგრესზე, სასწავლო მიზნების მიმართ.
- მოსწავლეები პროგრესის თვითშეფასებას აკეთებენ.
- მასწავლებლები ინსტრუქციას აძლევენ საფეხურებრივად.

([მოდული6][ბიბლიოგრაფია]Black & Wiliam, 1998).

განმავითარებელი შეფასების გავლენა სწავლის ხარისხზე უდაოდ დიდია. 1998 წელს, [მოდული6][ბიბლიოგრაფია]Black and Wiliam ბლექმა და უილიამმა გააანალიზეს 21 კვლევითი ნაშრომი და 580 სტატია განმავითარებელი შეფასების გავლენაზე მოსწავლის წარმატებაზე. მათ აღმოაჩინეს, რომ „ინოვაციები, რომლებიც განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებას ეხება, მნიშვნელოვან,

ზოგჯერ ფუნდამენტურ ცვლილებას და სარგებელს გვაძლევს“ (გვ.9). ამ ტიპის შეფასება ყველა ტიპის მოსწავლის სასწავლო პროგრესს უწყობს ხელს, დაწყებული საბავშვო ბაღიდან დამთავრებული უნივერსიტეტის სტუდენტებით. [მოდული6][ბიბლიოგრაფია]Black et al., 2003) კვლევების შედეგად, ასევე, დადგინდა, რომ მოსწავლეები, რომელთაც დამატებითი დახმარება სჭირდებათ, ყველაზე მეტ სარგებელს იღებენ განმავითარებელი შეფასებიდან. [მოდული6][ბიბლიოგრაფია]Black and Wiliam, 1998).

მოსწავლეზე ორიენტირებულ კლასში, მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეებს, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და ბოლოს მოსწავლეები მიმართავენ თვითშეფასებას. როცა მოსწავლეები თავიანთ სწავლას ან შექმნილ პროდუქტს აფასებენ, ისინი არა მხოლოდ შეცდომებს ეძებენ, არამედ ითავისებენ იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც მათი ნამუშევარი შეფასდება. [მოდული6][ბიბლიოგრაფია]Wiggins (1990). თვითშეფასება მუშაობის ხარისხის კრიტიკულად გაანალიზების საშუალებაა, რის შედეგადაც მოსწავლეები შეცვლიან სწავლის სტრატეგიებს, რათა უფრო ეფექტურები და ეფექტიანები გახდნენ. [6] (https://docs.google.com/document/d/1Qtpk0CVrR6d9LEDDwGHceMNcm0RSalyqGdVRh3IrOvM/edit)

ყოველდღიური პრაქტიკა მეტისმეტად რთული არ არის და არც იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. საერთაშორისო კვლევებით დასტურდება (OCED, 2005; Black and William, 1998), შედეგი იმდენად კარგია, რომ დროის დახარჯვა ღირს. თუ განმავითარებელი შეფასება ყოველდღიურ პრაქტიკად იქცევა, მომავალში ბევრ დროს დაგვიზოგავს. ეფექტური განმავითარებელი შეფასება ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმარება მოსწავლეებს

აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში და, მეორე მხრივ, მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ სწავლების პროცესი.

შეფასების განხორციელებამდე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ზუსტად განსაზღვროს:

1. **რა უნდა შეფასდეს** - ეს ნიშნავს შეფასების ვალიდურობას სასწავლო მიზანთან მიმართებით.

2. **რა ჩაითვლება მიზნის მიღწევის მაჩვენებლად** -კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებს მოსწავლეებს და დაადგენს, თუ რა დონეზე მიაღწია მიზანს თითოეულმა მათგანმა.

3. **როგორ უნდა მოხდეს შეფასება** - სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით.

4. **როგორ მოხდება შეფასების შედეგების გამოყენება-** (Bailey and Jakicic, 2012, გვ. 37-62). მონაცემების ორგანიზებით, რაც შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაციის შეგროვება დაისახა მიზნად მასწავლებელმა.[6].

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. მისი მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. ეს მასწავლებელს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს.“- ასე წერენ საკუთარ სახელმძღვანელოში განმავითარებელ შეფასებას მარიანა ხუნძაყიშვილი და სარა ბივერი[3] http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf

ასევე,მათივე საინტერესო განმარტებას წარმოადგენს შემდეგი: „განმავითარებელი შეფასების ეფექტურად და სწორად გამოყენება იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის”.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მოსწავლის აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეს ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა მიზნისკენ მიდის, ასევე რა ისწავლა და როგორ, რისი გაკეთებაა საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. ამაში მას მასწავლებლის უკუკავშირთან ერთად მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება დაეხმარება. საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება მოსწავლეს განუვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩამოუყალიბებს მეტაკოგნიტურ და თვითრეგულირებადი სწავლისათვის საჭირო უნარებს. [3], (http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf)

საქართველოში, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, განმავითარებელი შეფასების დანერგვა 2006 წლიდან დაიწყო, თუმცა უნიშნო შეფასების პრაქტიკას ჩვენში ექსპერიმენტულ დონეზე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

დიმიტრი უზნაძე აღზრდის ტრაგედიის დაძლევის ერთადერთ გზად მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთნდობაზე, პატივისცემასა და თანასწორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას მიიჩნევდა.

„ქალთა გიმნაზიაში 1916 წელს უზნაძემ სწორედ ნდობაზე დაფუძნებული ატმოსფერო შექმნა, რასაც, მისი აზრით, დიდად უშლიდა ხელს ქულებით შეფასება. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ნიშანი ყოველთვის სუბიექტურია, მასწავლებელი შეფასებისას ორიენტირებულია კონკრეტული საგნის მოთხოვნებზე, მოსწავლის მომავალ მიზანზე, ბავშვს კი ეს არ ესმის, ვინაიდან იგი თავისი არსით აწმყოზეა ორიენტირებული. ამიტომ პედაგოგიურმა საბჭომ, რომელსაც უზნაძე ხელმძღვანელობდა, უარი თქვა ნიშნებით შეფასებაზე. მასწავლებლები ცალკე რვეულში ინიშნავდნენ, რა იცოდნენ მოსწავლეებმა და რა – არა, მერე კი რეკომენდაციებს აწვდიდნენ მოსწავლეებსა და მათ

მშობლებს.უზნაძის აზრით, უნიშნო შეფასებამ, მართალია, სამუშაო მოუმატა მასწავლებლებს, მაგრამ სწავლა უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი გახადა, მათ შორის – იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც მანამდე წარუმატებელ მოსწავლეებად მიიჩნეოდნენ“-ვკითხულობთ ნინო ლაბარტყავას სტატიაში.[4], http://mastsavlebeli.ge/?p=2076. იმავე სტატიაში ნათქვამია, რომ „1960-1961 წლებში თბილისის 53-ე სკოლაში პირველკლასელთათვის წერის სასწავლებლად შეიქმნა განსხვავებული პროგრამა. ვინაიდან წერა პატარა მოსწავლეებისთვის ახლად დასაუფლებელი ჩვევა გახლდათ, მიიჩნეოდა, რომ ნიშნით შეფასება მათ მოტივაციას ჩაუქრობდა. აღნიშნული ექსპერიმენტი საქართველოში 17 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქობულეთის, ზესტაფონისა და სტეფანწმინდის საექსპერიმენტო სკოლებში (Амонашвили Ш.А. 1984).

ჰუმანური პედაგოგიკის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ შინაარსობრივი შეფასება უნდა ყოფილიყო როგორც გარეგანი, ისე შინაგანი – რეფლექსური. გარეგანი გულისხმობდა მოსწავლის შეფასებას თანატოლის, პედაგოგის მიერ; შინაგანი – მოსწავლის მიერ საკუთარი ნაშრომის შეფასებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეცნიერები ამ ორი მონაცემის ერთმანეთისთვის შედარებას ანიჭებდნენ.

განათლების მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ თუ მოსწავლეთა შეფასება ხდება მხოლოდ ტესტის საფუძველზე ქულებით, სწავლების პროცესი მიიმართება ტესტის წარმატებით შევსების უნარების განვითარებისკენ. ტესტები ძირითადად სტანდარტიზებულია, შეფასება აღნუსხავს, მასალის რა პროცენტია დაძლეული და არ იძლევა ინფორმაციას არც შეცდომათა ტიპებზე და არც მათი დაძლევის გზებზე, თანაც, ვინაიდან ადამიანები განვსხვავდებით ერთმანეთისგან, შეცდომებიც სხვადასხვანაირი

მოგვივა და დახმარებაც სხვადასხვანაირი დაგვჭირდება“-ვკითხულობთ სტატიაში. [4] (http://mastsavlebeli.ge/?p=2076)

დიმიტრი უზნაძე ნიშნის უარყოფით ზეგავლენას მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ,,აღზრდის ტრაგედიას“ ამიტომაც უწოდებდა. მკვლევართა და მეცნიერთა ამგვარი შეფასებები ქულებით შეფასების სისტემას ერთობ ეჭვქვეშ აყენებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოსწავლეთა ობიექტური შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია სამართლიანი, მოტივირებული, პოზიტიური, მიზანდასახული ადამიანის ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლის შეფასება ეფექტურობის პრინციპით ძალიან დიდ შრომასა და მასწავლებლის მხრით დაკვირვებას მოითხოვს, რათა შეფასება მოსწავლეთათვის მოტივაციის დასუსტების მიზეზად რომ არ იქცეს. [4].

განმავითარებელი შეფასება სწავლა/სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომის ნაწილია. ის თავის თავში მოიაზრებს განმავითარებელ თვითშეფასებას, მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების შემუშავებაში მონაწილეობას და მათ მიერ პასუხისმგებლობის აღებას შეცდომების მართვის პროცესზე. ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლის მონაწილეობა შეფასებების განხორციელებაში. გარდა იმისა, რომ მოსწავლისათვის ნათელი ხდება, თუ რომელია მისი სუსტი და ძლიერი მხარე, რეალიზდება მისი მონაწილეობის უფლება იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც მას ეხება. ეს კი ბავშვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება-პრინციპია (ბავშვის უფლებათა კონვენცია). თავის მხრივ, მოსწავლე-მასწავლებლის ამ ტიპის ურთიერთობები ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას.[4], (http://mastsavlebeli.ge/?p=2076)

აღსანიშნვია ისიც, რომ სწავლის მოტივაცია დიდწილად არის დამოკიდებული განმავითრებელ შეფასებასთან და განაპირობებს სწავლა/სწავლების შედეგებს. დღეს მეცნიერები აღარ დაობენ იმაზე, თუ რომელი ფაქტორები (გარეგანი თუ შინაგანი) განაპირობებს სწავლის მოტივაციას. არც ისე ადვილია მათ შორის მკაფიო ზღვრის გავლება. ისინი ცდილობენ, გასცდნენ მოტივაციის ინდივიდუალურ და სტატისტიკურ ანალიზს, იხილავენ მას ფართო კონტექსტში და მის დინამიკას დროში. მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენას ახდენს მათი ასაკი, ოჯახური თუ სასკოლო გარემო, ურთიერთობა თანაკლასელებთან, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ზოგ შემთხვევაში, დაბალი თვითშეფასება და საკუთარი არაკომპეტენტურობის ილუზია, რაც არ შეესაბამება რეალობას.

მოსწავლის მოტივაციაზე პოზიტიურად მოქმედებს სწავლების სტრატეგიების ვარირება, საკუთარი პროგრესის დანახვა (და არავითარ შემთხვევაში შედარება სხვა მოსწავლეებთან). განმავითარებელი შეფასება მოსწავლისთვის უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ საფრთხეს. ამიტომ ცხადია, რომ მაღალი ხარისხის განმავითარებელი შეფასება მიიღწევა კლასში, სადაც ჯანსაღი, ტოლერანტული გარემოა.[8], (http://mastsavlebeli.ge/?p=26106)

2.4 განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება, საჭიროა, რომ მას ჰქონდეს სათანადო ცოდნა და შესაბამისი ინსტრუმენტები. ეს შეიძლება იყოს როგორც სწრაფი შეფასების ინსტრუმენტები, ისე გაგება-გააზრების სიღრმისეული შეფასების ინსტრუმენტები. განმავითარებელი

შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა შესასწავლი მასალა, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი სწავლის პროცესში, რა გამოსდით კარგად, რა არის მათი ინტერესების სფერო და,ზოგადად, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესი. ყოველივე ეს მასწავლებელს სწავლების სწორად დაგეგმვაში ეხმარება. ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუკი იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად.

„ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მაშინ,თუკი მასწავლებელი და მოსწავლე იპოვიან გზებს,როგორ უნდა გაიაზროს ესა თუ ის საკითხი“-წერს სოფო გორგოძე თავის სტატიაში.[2], (http://mastsavlebeli.ge/?p=11953). ამავე სტატიაში ავტორი ამახვილებს ყურადღებას ისეთ უკვე ნაცად განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე, როგორიცაა: შემაჯამებელი ბარათები; კითხვების დასმა; აუხსენი შენზე პატარას; კომენტარი/ უკუკავშირი; თანატოლთა შეფასება; ტექნოლოგიები და განმავითარებელი შეფასება; დაკვირვება-როგორც განმავითრებელი შეფასება და სხვა.

გარდა აღნიშნული ინსტრუმენტებისა, ცნობილია ასევე,ისეთი მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები,როგორიცაა: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები; დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე; სწრაფი წერითი სამუშაო-ერთწუთიანი ესსე; გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება; „ქვიზი“; ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება; ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე; გრაფიკული ორგანიზატორები; ორმაგი ჩანაწერების დღიური; შეფასების რუბრიკა; მოსწავლის

სწავლის აღრიცხვის ფორმა და მოსწავლეთა ინტერესების შესწავლის ფორმა-ვკითხულობთ მარიანა ხუნძაყიშვლისა და სარა ბივერის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში.[3],(http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf). მოცემული სახელმძღვანელო უნიკალურია იმ მხრივაც,რომ თითოეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის აღწერილობას თან ახლავს რეკომენდაციები, იმის შესახებ,თუ რა მიზნით,როდის და როგორაა შესაძლებელი კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენება.ამავე სახელმძღვანელოში [3] შევხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დროა საშუალოდ საჭირო იმისათვის,რომ მასწავლებელმა მოამზადოს კონკრეტული აქტივობა და გაანალიზოს მიღებული ინფორმაცია. წინამდებარე ნაშრომში წარმოგიდგენთ რამდენიმე ინსტრუმენტის მოკლე აღწერას.

შესასვლელი და გასასვლელი ბარათები.

შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებში მოცემულია მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით მომზადებული ერთი ან რამდენიმე მოკლე კითხვა ან დავალება,რომელთა შესრულებაც 5-10 წუთს მოითხოვს. *შესასვლელი ბილეთების მიზანია,* გაკვეთილის დასაწყისში

ა. ინფორმაციის მოპოვება მოსწავლეთა: წინარე ცოდნის; ინტერესების; მანამდე არსებული ღირებულებების/დამოკიდებულებების შესახებ.

ბ. მიღებული ინფორმაციის გამოყენება გაკვეთილში ცვლილებების შესატანად.

გასასვლელი ბილეთების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, გაკვეთილის ბოლოს მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების შესახებ; მოსწავლეთა ინტერესების, ღირებულებების, დამოკიდებულებების შესახებ; სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ.

ბ) მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომდევნო გაკვეთილის დასაგეგმად მოსწავლეთა საჭიროებებისა თუ ინტერესების გათვალისწინებით.

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების საშუალებით მასწავლებელი ძალიან მოკლე დროში მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს მოსწავლეებისგან. გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტის ხშირი გამოყენება ერთგვარ რუტინას უდებს საფუძველს – მოსწავლეებმა იციან, როგორ შეიძლება დაიწყოს და დასრულდეს გაკვეთილი. შესასვლელი ბილეთი ეხმარება მასწავლებელს, გაკვეთილის დაწყების პირველივე წუთებიდან მიმართოს მოსწავლეთა ყურადღება შესასწავლ საკითხზე და შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო. ხოლო გასასვლელი ბილეთების შევსების მოლოდინი ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე. ამასთან საკლასო რუტინის არსებობა კლასისა და დროის მართვის მნიშვნელოვანიწინაპირობაა.[3], (http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf).

სწრაფი წერითი სამუშაო -ერთწუთიანი ესსე.

ამ ინსტრუმენტის გამოყენების დახმარებით მასწავლებელს შეუძლია ძალიან მოკლე დროში შეიქმნას წარმოდგენა სასწავლო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა მზაობის, გაგება-გააზრების,ინტერესებისა და დამოკიდებულების შესახებ.სწრაფი წერითი სამუშაოს შესრულება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და

სტრუქტურირებული წერის უნარების განვითარებას მოსწავლეებში, ვინაიდან სათქმელის მოკლედ გადმოსაცემად აუცილებელია განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის დახარისხება, მთავარი და მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება და დასკვნების გაკეთება.[3], (http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf).

დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

ნაცვლად იმისა, რომ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით მოსწავლეებს მზა დასკვნები მივაწოდოთ, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე წუთი იმისათვის, რომ მოსწავლეები დაფიქრდნენ საკითხის შესახებ. ამის შემდეგ ისინი იმსჯელებენ მეწყვილესთან ერთად, ბოლოს კი გაუზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს მთელ კლასს. სასწავლო მასალის შესწავლის ამგვარი სტრატეგია მოსწავლეებს აძლევს საშუალებას,ჩაუღრმავდნენ საკითხს, მოისმინონ და კრიტიკულად გააანალიზონ განსხვავებული მოსაზრებები, შეაჯამონ მიღებული ინფორმაცია და გამოიტანონ დასკვნები. ამას გარდა, ერთმანეთთან ინტერაქცია მოსწავლეებს უვითარებს მოსმენის, სხვისი აზრის გათვალისწინებისა და კომუნიკაციის უნარებს. მასწავლებელს კი ამ პროცესზე დაკვირვებით შეუძლია შეაფასოს,რამდენად სწორად მსჯელობენ მოსწავლეები, რამდენად კარგად გაიგეს მათ სასწავლო მასალა და რამდენად საინტერესო აღმოჩნდა ის მათთვის.[3], ((http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf).

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება სასწავლო თემასთან დაკავშირებით. ეს დებულება შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე ფაქტს, მოვლენას, თეორიას, მათემატიკური ამოცანის ამონახსნს, პრობლემური საკითხის გადაჭრის გზას. ამის შემდეგ, მოსწავლეები უზიარებენ დებულებებს თანაკლასელებს, რომლებსაც ევალებათ, ამოიცნონ მცდარი დებულება.დებულებების მოფიქრების დროს მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოამჟღავნონ ცოდნა, მოიძიონ ინფორმაცია, ორიგინალური ფორმით წარმოადგინონ ფაქტები ან საკუთარი მოსაზრებები. ამავე დროს, ამ აქტივობას შემოაქვს ხალისი გაკვეთილზე და უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას. თავის მხრივ, მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა,შეაფასოს მოსწავლეებში სასწავლო საკითხის ცოდნისა და გაგება-გააზრების დონე. [3] ,((http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf).

ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე

„ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ მოსწავლის თვითშეფასებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტია, რომელიც აღძრავს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და უბიძგებს მას ახლის შემეცნებისკენ.მოსწავლემ ქვემოთ მოცემულ ცხრილში უნდა წარმოადგინოს, რა ცოდნას ფლობს, რისი შესწავლა სურს და რის სწავლას შეძლებს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.



მოცემული ინსტრუმენტის გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გააქტიუროს და შეაფასოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გააძლიეროს მოსწავლის სურვილი, შეისწავლოს ახალი მასალა და, ამავე დროს, ხელთ ჰქონდეს მოსწავლეთა პროგრესის დამადასტურებელი დოკუმენტი. თავის მხრივ, მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ, თუ რა იცოდნენ და რა ისწავლეს ახალ სასწავლო საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში ეხმარება.[3], (http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf).

თავი III

კვლევის მეთოდები

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო (VIII,IX) და საშუალო (X,XI,XII) საფეხურის მოსწავლეები; მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

3.2 კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის მიმდინარეობისას, გამოვიყენე **თვისობრივი** (ჩართული-ფოკუსირებული დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ,ზეპირი გამოკითხვა) და **რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები. (წერილობითი გამოკითხვა-ანკეტირება).

3.3 შერჩევა

კვლევის შერჩევის გათვალისწინებით [5] რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საბაზო- საშუალო საფეხურის 93 მოსწავლიდან 80 მოსწავლემ, საბაზო-საშუალო საფეხურის 19 მასწავლებლიდან 15- მა მასწავლებელმა და 3 ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

თვისობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3 -მა მასწავლებელმა, 2 -მოსწავლემ და 1 ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

3.4 კვლევის ვადები

სკოლის საჭიროების კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა 2020-2021 სასწავლო წლის I-II სემესტრში (25 სექტემბერი- 5 ივნისი)

3.5 მონაცემთა შეგროვება

საკვლევი თემა,რადგანაც მასწავლებელთა უმრავლესობა „აქილევსის ქულსად“ მიიჩნევს განმავითარებელ შეფასებას, ასევე,სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე შევარჩიე.როგორც ზემოთ ავღნიშნე,სკოლის კონტიგენტთა უმრავლესობას აზერბაიჯანელი მოსწავლე წრმოადგენს. იდეა წარვუდგინე სკოლის დირექტორს,ბატონ სპარტაკ დათიკაშვილს და კოლეგებს (შორენა ქიტესაშვილი, ლალი მაისურაძე,სოფია გოგიჩაშვილი). კოლეგებმა მოიწონეს ჩემი გადაწყვეტილება; აღნიშნეს რომ აღნიშნულ თემატიკაზე კვლევის განხორციელება წაადგება სკოლისა და მოსწავლის ინტერესებს, ასევე,აღნიშნეს რომ სწორი შეფასება,განსაკუთრებით კი,სწორი და მიზანმიმართული განმავითარებელი შეფასება სწავლა-სწავლების ერთ-ერთ უმიშვნელოვანეს ფუნდამენტს წარმოადგენს,და რომ ის სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია.რამაც დიდი სტიმული მომცა დამეწყო და განმეხორციელებინა კვლევა.

საჭიროდ მივიჩნიე, გამომეკვლია ის მიზეზები,რაც ჩემი აზრით, აფერხებდა მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. აუცილებლად მივიჩნიე-შემერჩია განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები,რომელიც შემდგომში გამომდგებოდა ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვაში.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენე როგორც თვისობრივი,ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

ჩართული ფოკუსირებული დაკვირვება- წინასწარ შემუშავებული დაკვირვების კრიტერიუმებით, 5 კვირის განმავლობაში საკუთარ კლასებში ვახდენდი დაკვირვებას,იმაზე,თუ რა სიხშირით ვიყენებდი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, რათა მიღებული შედეგები შემედარებინა სხვა კოლეგების შედეგებთან. შესაბამისად,ამ კლასებში რამოდენიმე კოლეგას ვთხოვე დახმარება,ეწარმოებინათ დაკვირვება ამ კლასებში.

ჩემი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიე მიმეღო ინფორმაცია სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიდანაც იმაზე,თუ რას ფიქრობდნენ მასწავლებელთა მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობის შესახებ,რისთვისაც გამოვიყენე *ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი* და ავიღე ინტერვიუ. მაინტერესებდა პასუხები კვლევისთვის საჭირო ისეთ შეკითხვებზე,როგორიცაა:

- უჭირავს თუ არა მნიშვნელოვანი ადგილი შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში?
- როგორ აფასებთ სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან განმავითარებელი შეფასების გამოყენებას?
- რა სირთულეებია სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან განმავითარაებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებისას?
- როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს პრობლემის არსი? და როგორ შეიძლება მისი მოგვარება?

პედაგოგთა მცირე ჯგუფთან (4-5 მასწავლებელი) გამოვიყენე *ფოკუს -ჯგუფი,* რომლის მიზანს წარმოადგენდა,გამეგო მათი შეხედულებები და მოსაზრებები. გვემსჯელა

აღნიშნულ პრობლემებსა და მათი მოგვარების სავარაუდო გზებზე. ყველა მონაწილეს ქონდა საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება, შეხვედრას ესწრებოდა 4 მასწავლებელი.

სადისკუსიო თემის შეკითხები იყო ასეთი:

1.განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებთ რეგულარულად და რატომ?

2.რა არის ის ხელისშემშლელი ფაქტორები,რის გამოც მასწავლებლები ვერ ახერხებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას?

ფოკუს-ჯგუფი გამოვიყენე მოსწავლეების 7-8 კაციან ჯგუფშიც. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დამედგინა:

1.მასწავლებელთა მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებიდან რომელს იცნობდნენ მოსწავლეები.

2. რა როლი აქვს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.

3.ეხმარება თუ არა ისინი სწავლის პროცესში.

ყველა მოსწავლეს ქონდა საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება. მოსწავლეებმა გულწრფელად ისაუბრეს აღნიშნულ თემებზე. შეხვედრა გავმართე ორჯერ,საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ცალ-ცალკე. თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 7-7 მოსწავლე.

ინტერვიუს და ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებულმა თვისობრივმა ინფორმაციამ საშუალება მომცა სწორად შემედგინა გამოკითხვის კითხვარები.

გამოკითხვა-ანკეტირება.

საკვლევი პრობლემის შესასწავლად დავგეგმე რაოდენობრივი კვლევაც. შევადგინე კითხვარები როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის და ადმინისტრაციისთვის. კითხვარი შეავსო 3-მა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, 98 მოსწავლიდან - 80 მოსწავლემ და 24 -დან 17-მა მასწავლებელმა.

ადმინისტრაციის გამოკითხვა მიზნად ისახავდა,დამედგინა ნამდვილად აქტუალურია თუ არა ეს საკითხი,მიიჩნევენ ისინი თუ არა ,რომ ეს სკოლის პრობლემური საკითხია. განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტს იყენებენ მასწავლებლები ყველაზე მეტად/აქტიურად და რა არის მათი გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი.რა არის ამ პრობლემის შესაძლო გადაჭრის მექანიზმი.

მასწავლებელთა გამოკითხვა მიზნად ისახავდა იმის დადგენას,თვლიან თუ არა, რომ განმავითარებელი შეფასების რეგულარული და მიზანმიმართული გამოყენება ზემოქმედებს მოსწავლეებზე და გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე,მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე,განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იცნობენ, იყენებენ ყველაზე ხშირად და ყოველდღიურად, ასევე ,რა უშლით ხელს მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებაში. რა არის მათთვის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენების ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები.

მოსწავლეთა გამოკითხვა მიზნად ისახავდა გამორკვეულიყო:

ა)იყენებენ თუ არა მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს;

ბ) განმავითარებელი შეფასების რომელი ინსტრუმენტებით სარგებლობენ ყველაზე მეტად მასწავლებლები გაკვეთილზე,

გ) როგორ რეაგირებენ მოსწავლეები მასწავლებლების მიერ გაკეთებულ განმავითარებელ შეფასებებზე.

დ)ეხმარება თუ არა იგი მოსწავლეებს მიღწევების გაუმჯობესებაში.

თავი IV

მონაცემთა ანალიზი

4.1 მონაცემთა ანალიზი

ჩართული ფოკუსირებული დაკვირვება. კვლევის შედეგებმა აჩვენა,რომ მეც და ჩემი კოლეგებიც ძირითადად სიტყვიერი კომენტარებითა და კითხვების დასმით შემოვიფარგლებოდით. ნაკლები სიხშირით ვიყენებდით მეთოდებს: „ერთწუთინი ესსე“ ; დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“; „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება“.

ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუმ სკოლის დირექტორთან მომცა საშუალება, განმესაზღვრა მისი დამოკიდებულება მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესში,განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენების შესახებ.მისი აზრით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები შესაძლოა იყოს: განმავითარებელი

შეფასების ინსტრუმენტების არასათანადო ცოდნა; დროის დეფიციტი, მითუმეტესს თუ პანდემიის შედეგად გამოწვეულ რეალობას გავითვალისწინებთ; დირექტორის აზრით, ამ პრობლემის მოგვარების სავარაუდო გზად შესაძლოა გამოდგეს: „სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა; ხელი შეეწყოს სკოლაში კოლეგებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესებას; მეტად გავუწიოთ პოპულარიზაცია აღნიშნულ ინსტრუმენტებს და შევეცადოთ მათ სასკოლო პრაქტიკაში დანერგვას“.ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა,ის რომ სკოლის ხელშეწყობა აუცილებელია.

ფოკუს-ჯგუფი (მასწავლებლები) ანალიზიდან გამოიკვეთა შემდეგი: მასწავლებლების უმრავლესობა ადასტურებს იმას,რომ განმავითარებლი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება ნამდვილად შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას, რაც პირდაპირი ასახვაა მოსწავლეთა მაღალი აკადემიურ მოსწრების.მათ აღნიშნეს, რომ იცნობენ შეფასების ინსტრუმენტებს,მაგრამ არა ყველას. გარდა ამისა,ისინი რეგულარულად, ძირითადად განმავითარებელი შეფასების რამდენიმე მეთოდს იყენებენ. რადგან ყოველივე ეს მათგან დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელ ფაქტორებად პედაგოგები ასახელებენ შემდეგს: ყველა ინსტრუმენტს საფუძვლიანად არ იცნობენ. რასაც იცნობენ,მათ მოძიება, გამრავლება, დაბეჭვდა სჭირდება,რაც მათგან კიდევ უფრო მეტ ძალისხმევასა და დროის მოითხოვს. შეფასების ამ ინსტუმენტებს ისინი სამოდელო, ან გარე და შიდა დაკვირვების დროს უფრო იყენებენ. გამოყენებას ისიც აფერხებს, რომ კოვიდ-პანდემიის პირობებში, შემცირებულია საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობაც.

ფოკუს-ჯგუფი (მოსწავლეები) .მოსწავლეთა საუბრებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი: მათი თქმით,მასწავლებლები ყველაზე უფრო ხშირად მიმართავენ კითხვების დასმის და ზეპირი კომენტარის ხერხს. აღნიშნეს,რომ მათთვის განმსაზღვრელი შეფასება უფრო „საშიშია“, ვიდრე ზეპირი კომენტარები. ისურვებდნენ,რომ მასწავლებელთა მხრიდან უფრო მრავალფეროვანი შეფასებები იქნეს გამოყენებული.ისინი ფიქრობენ, რომ განმავითარებელი შეფასება მათ ეხმარება და მომავალშიც დაეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების უკეთ გამოსავლენად.

4.2. გამოკითხვა-ანკეტირების შედეგები

ადმინისტრაციის გამოკითხვა-ანკეტირება

1. რას ფიქრობთ, ყოველდღიურად იყენებენ თუ არა მასწავლებლები გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს? დიაგრამა გამოიყურება ასე:



როგორც დიაგრამიდან ჩანს,გამოკითხულთა 66,7% (2 რესპოდენტი),თვლის რომ მასწავლებლები ხანდახან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს გაკვეთილზე,ხოლო 33,3% (1 რესპოდენტი) მიიჩნევს,რომ ეს ხდება ყოველთვის.

2. როგორ /რა საშუალებებით ადგენენ მასწავლებლები რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი?



როგორც დიაგრამიდან ჩანს,ადმინისტრაციის 30% ფიქრობს,რომ მასწავლებლები ატარებენ ტესტირებას; ასევე,30% მიიჩნევს რომ მასწავლებლები ატარებენ ზეპირ გამოკითხვას; 20% -ფიქრობს რომ მოსწავლეებს ეკითხებიან; ასევე, 20% მიიჩნევს რომ პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა ფორმებს.

3. კითხვაზე: რას ფიქრობთ, როგორია მასწავლებელთა დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების მიმართ? გამოკითხვის შედეგები ასეთია:



ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი (100%)ფიქრობს, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიმართ ზოგადად, დადებითია.

4. კითხვაზე: თქვენი გამოცდილებით,განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებენ ყველაზე ხშირად მასწავლებლები? დიაგრამას აქვს შემდეგი სახე:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ადმინისტრაციის წარმომადგენლები ფიქრობენ რომ,მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ,ისეთ განმავითარებელი შეფასების გამოყენებას, როგორიცაა: **1.**“ქვიზი“; **2.**“კითხვების დასმა“; **3.** “ ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე“, **4.**“გრაფიკული ორგანიზატორები“.და ა.შ.

5. რა არის,თქვენი აზრით,მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი? დიაგრამას აქვს შემდეგი სახე:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ადმინისტრაციის წარმომადგენლების 34% ფიქრობს, რომ მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოსაყენებლად, ასევე, ფიქრობენ ისინი რომ მასწავლებლები არ იცნობენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს; 11%-ს მიაჩნიათ რომ სკოლაში არ არის საკმარისი რესურსი ამისთვის.

6. რა არის თქვენი აზრით, განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზი?



როგორც დიაგრამიდან ვასკვნით, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 34% განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზად მიიჩნევენ პედაგოგთა არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას; 33% მიაჩნია, რომ მიზეზი სკოლაში სამუშაო შეხვედრების არ არსებობაა. ასევე, ადმინისტრაციის 33% ფიქრობს,რომ სკოლაში არ ტარდება გამოკითხვები, საჭიროებების დასადგენად.

7. ისურვებდით თუ არა, რომ სკოლაში მასწავლებლებისთვის განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით სამუშაო ჯგუფმა იმუშაოს?

როგორც გამოკითულთა მონაცემებიდან ჩანს, ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი (100%) მიზანშეწონილად მიიჩნევს, სკოლაში სამუშაო ჯგუფის მუშაობის აუცილებლობას.

8. გთხოვთ,დაწეროთ რამდენიმე მიზეზი, რომლებიც ხელს შეუწყობდა მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. პასუხი გასცა სამივე გამოკითხულმა.

ადმინისტრაციის რაოდენობრივმა გამოკითხვამ აჩვენა,რომ მათი აზრით, მასწავლებლები ყოველთვის არ იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. თუმცა მასწავლებელთა დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ

ზოგადად დადებითია. მასწავლებლები ძირითადად რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებენ რეგულარულად.ძირითადი მიზეზი მათი შეფერხებით გამოყენებისა არის დროის დეფიციტი და გამოყენებისთვის დიდი ძალისხმევის დახარჯვა, ხოლო არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზი კი ისევ მასწავლებელთა მხრიდან დროის დეფიციტია. ადმინისტრაციის შეხედულება იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობდა მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მკაფიოდაა გადმოცემული მათ პასუხებში.ესენია:

„მრავალფეროვანი დამხმარე მასალები და რესურსები“.

„თანამშრომლობითი გარემო,სამუშაო შეხვედრები კოლეგებს შორის“.

„მასწავლებლისთის მეტი თავისუფალი დრო, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად“.

„მზა რესურსები,შაბლონები,ნიმუშები,რომელიც დაეხმარება მასწავლებელს თავადაც შექმნას განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.“

მოსწავლეთა გამოკითხვა -ანკეტირება

1.რომელ კლასში სწავლობთ? პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა:

მე-8ა კლასი: 19 მოსწავლე

მე-8ბ კლასი:18 მოსწავლე

მე-9 კლასი:10 მოსწავლე

მე-10 კლასი:10 მოსწავლე

მე-11 კლასი: 7 მოსწავლე

მე-12 კლასი: 16 მოსწავლე

4. განმსაზღვრელ შეფასებას/ქულებს მასწავლებლები სასწავლო თემაზე/საკითხზე მუშაობის დასრულების შემდეგ იყენებ. თქვენი აზრით,რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები განმსაზღვრელ შეფასებას? პასუხი დააფიქსირა ყველა რესპოდენტმა, გამოკითხულთა შედეგები კი გამოიყურება ასე:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულ მოსწავლეთა 85% აფიქსირებს ,რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას. 9 % ის აზრით,ეს ხდება ხანდახან. 5% ის აზრით-იშვიათად. 1% ის აზრით-არასდროს.

3.განმავითარებელ შეფასებას, კომენტარებს მასწავლებლები კონკრეტული თემის, საკითხის შესწავლისას იყენებენ. თქვენი აზრით,რამდენად ხშირად იყენებენ მას მასწავლებლები? პასუხი გასცა 80-ვე მოსწავლემ.



როგორც დიაგრამიდან ვიგებთ,მოსწავლეთა 56% ის აზრით,მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმავითრებელ შეფასებას. 27% -ის აზრით,მისი გამოყენება ხდება ხანდახან; 15% მიაჩნია,რომ მასწავლებელი მას იშვიათად იყენებს.ხოლო 2% ის აზრით-არასდროს იყენებს მას მასწავლებელი.

4.თქვენ,როგორც მოსწავლე რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას? პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა.დიაგრამა გამოიყურა ასე:



დიაგრამიდან ჩანს,რომ მოსწავლეთა 63% უპირატესობას ანიჭებს ნაწილობრივ ქულებით და ნაწილობრივ კომენტარებით შეფასებას; 20%- ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ ქულებს; ხოლო 17% უპირატესად კომენტარებს,იშვიათად ქულებს.

5. თქვენი აზრით, მასწავლებლების მიერ გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარი, (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი). პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულ მოსწავლეთა 33% ფიქრობს,რომ მასწავლებლის მიერ გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარი მას ეხმარება სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში. 37% -ის აზრით, აღნიშნული კომენტარები ეხმარება შეცდომების გამოსწორებაში. 23% ფიქრობს, რომ ეხმარება მომდევნო გაკვეთილის/მასალის უკეთ ათვისებაში; 5%-არ აქცევს ყურადღებას მსგავს კომენტარებს; 2% ფიქრობს რომ მას ეს არაფერში არ ეხმარება

6.თქვენი აზრით,მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე დასმული შეკითხვები,მეხმარება:

(შეიძლება მონიშნოთ რამდენიმე პასუხი),პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა.



დიაგრამიდან ვარკვევთ, რომ მოსწავლეთა 38% ის აზრით, მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე დასმული შეკითხვები ეხმარება იმის დადგენაში,რა იცის და რა არა; 31% ის აზრით-მსგავსი შეკითხვები სასწავლო მასალის ათვისებაში ეხმარება; 24% ფიქრობს,რომ ეხმარება უფრო მეტად დაფიქრდეს ამა თუ იმ საკითხზე; 4%-ფიქრობს,რომ არაფერში ეხმარება; 2% -თვის მოსაბეზრებელია; 1% -ში შიშს იწვევს.

7.ჩამოთვლილთაგან, რომელს იყენებენ მასწავლებლები გაკვეთილზე ყოველდღიურად? (შეგიძლიათ,მონიშნოთ რამდენიმე პასუხი). პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა.



როგორც გამოკითხიდან ჩანს,მოსწავლეთა აზრით,ყველაზე ხშირად მასწავლებლები იყენებენ (75%) კითხვების დასმას; 33% -გრაფიკულ ორგანიზატორებს; 15%- „ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე“;12%-ერთწუთიანი ესსე; დანარჩენი ინსტრუმენტები კი დაბალი პროცენტული მაჩვენებლით არიან წარმოდგენილნი.

8.თქვენი აზრით, რა არის მასწავლებლის მიერ სიტყვიერი/წერილობითი კომენტარის,დასმული შეკითხვის,შეფასების რუბრიკის (და სხვა განმავითარებელი შეფასების) მიზანი?

ამონარიდები მოსწავლეთა პასუხებიდან:

„ ამ ყველაფერს მასწავლებელი იყენებს იმისთვის,რომ ვიცოდეთ,რაში გვჭირდება დახმარება და რაში არა“

„სტიმული მოგვცეს და გაგვიჩნდეს სურვილი უფრო კარგად ვისწავლოთ საგანი“.

„ჩვენთვის ამათუ იმ საკითხში უფრო ღრმად გაგებისთვის“.

„გაგვიძლიეროს სურვილი და მოგვცეს სტიმული სწავლისთვის“.

„ჩვენ შეცდომებზე მიგვითითოს და გვასწავლოს საკითხის გადაჭრის უნარ-ჩვევები“.

„გაიგოს მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეები,ასევე,გაიგოს რომელი საკითხია კლასისთვის/კონკრეტული მოსწავლისთვის გაუგებარი“.

„ რომ დაადგინოს ჩვენი,მოსწავლეების ცოდნის დონე და მოგვცეს შესაბამისი რჩევები-რეკომენდაციები“.

„ჩემი აზრით,ეს დაეხმარება მასწავლებელს გიგოს,თუ როგორ ავითვისეთ ესათუ ის საკითხი,რა დაგვრჩა გაუგებარი,რომ ამის შემდეგ შეძლოს ხარვეზების გამოსწორება“

9.რა სარგებლის მომტანია თქვენთვის მასწავლებლის მიერ გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარი?(დასმული შეკითხვა,შეფასების რუბრიკა სხვა განმავითარებელი შეფასება)

ამონარიდი მოსწავლეთა პასუხებიდან:

„ჩემი აზრით, ეს მეხმარება შევაფასო საკუთარი ცოდნა, მივხვდე საკუთარ შეცდომებს და შევეცადოთ მას გამოსწორებას.

„კითხვების დასმა მომწონს,რადგან უფრო ადვილად მამახსოვრდება კონკრეტული მასალა,ასევე,კარგად ვიგებ ჩემს სუსტ მხარეებს“.

„ყველაფერი ეს ჩვენი ცოდნის შემოწმებას ემსახურება“

„ვფიქრობ,ყველა მასწავლებელი უნდა იყენებდეს ქულებსაც და წერით კომენტარებსაც,რადგან მნიშვნელოვანია ეს ჩვენი,როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდისთვის.“

მოსწავლეთა კომენტარებიდან ირკვევა,რომ მასწავლებლის მიერ ეფექტურად და მიზანმიმართულად გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარები სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში, შეცდომების დანახვა/გამოსწორებაში და მომდევნო გაკვეთილის უკეთესად მომზადებაში ეხმარება.

კითხვაზე,ჩამოთვლილთაგან,რომელს იყენებენ მასწავლებლები გაკვეთილზე ყოველდღიურად, როგორც დიაგრამიდან ჩანს,ლიდერია-„კითხვების დასმა“; მას დიდი პროცენტული ჩამორჩენით მოსდევს „ გრაფიკული ორგანიზატორები“; „დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე“; ხოლო დანარჩენი ინსტრუმენტების წილი უმნიშვნელოა.

მოსწავლეთა მხრიდან პოზიტიურადაა შეფასებული მასწავლებელთა საქმიანობა ამ მიმართულებით. აქედან გამომდინარე,თუ მხოლოდ ერთი ან ორი ინსტრუმენტის გამოყენება ასე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, მაშინ მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების აქტიური

გამოყენება,უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებას, მათ სწავლასა და შედეგების გაუმჯობესებას.

მასწავლებელთა გამოკითხვა-ანკეტირება

1.რომელ საგანს ასწავლით? პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა:

ქართული ენა-ლიტერატურა 3

რუსული ენა 2

ინგლისური ენა 2

მათემატიკა 2

ფიზიკა 1

ქიმია -1

ბიოლოგია 1

ისტორია 1

გეოგრაფია 1

სამოქალაქო განათლება 1

ხელოვნება 1

სპორტი 1

2. სტატუსი: პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა:

უფროსი-13 მასწავლებელმა

მაძიებელი -1

წამყვანი-3

3.საკლასო შეფასების რომელ ფორმებს იცნობთ? პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა მასწავლებელმა. დიაგრამას აქვს სახე:



4.შეფასების რომელ ფორმას იყენებთ უმეტესად? პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა. დიაგრამა გამოიყურება ასე:



5. როდის იყენებთ განმავითარებელ შეფასებას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი), პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა,დიაგრამას აქვს სახე:



6.ეთანხმებით, თუ არა რომ განმავითარებელი შეფასების მიზანია დაადგინოს,თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი.ის მასწავლებელს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს.პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა. დიაგრამას აქვს შემდეგი სახე:



7. როგორ,რა საშუალებებით ადგენთ,რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი? პასუხი ყველა პედაგოგმა დააფიქსირა. მონაცემებს აქვს შემდეგი სახე:



8. განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტს იცნობთ? პასუხი გასცა ყველა მასწავლებელმა.შედეგები კი ასე გამოიყურება:



9.ჩამოთვლილთაგან, რომელი ინსტრუმენტი გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში ერთხელ მაინც. გამოკითხულთაგან ყველა მასწავლებელმა გასცა პასუხი.შედეგები გამოიყურება ასე:



10.ჩამოთვლილთაგან ,რომელ ინსტრუმენტებს იყენებთ სასწავლო პროცეში ყოველდღიურად? პასუხი გასცა ყველა რესპოდენტმა.მიღებული დიაგრამა გამოიყურება ასე:



11. რა არის თქვენი აზრით, გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი? პასუხი მოცემულ შეკითხვას ყველა მონაწილემ გასცა,რაც გამოიყურება ასე:



12.რა არის თქვენი აზრით,განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორი? ყველა რესპოდენტმა უპასუხა მოცემულ შეკითხვას. შედეგები ასეთია:



13.რა არის თქვენი აზრით,განმავითარებელი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზი?



14. სწავლა-სწავლების პროცესში სასწავლო შეფასების წარმატებით განხორციელებისთვის ისურვებდით თუ არა, ამ თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას?



15. გთხოვთ,დაწეროთ რამდენიმე მიზეზი,რომლებიც თქვენი აზრით,ხელს შეუწყობდა გაკვეთილზე მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.

ამონარიდი მასწავლებელთა პასუხებიდან:

„სამუშაო შეხვედრების მოწყობა ამ თემაზე“.

„რესურსების მარტივად გამოყენების ხელშეწყობა“

„კეთილგანწყობილი დამოკიდებუ;ლება ამ საკითხის მიმართ“.

„მეთოდური მასალის გამრავალფეროვნება“

„განმავითარებელი შეფასებისათვის საჭირო რესურსების მობილიზება სკოლის ბაზაზე“

„მასწავლებლის მონდომება და ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე“

„წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარება“

„მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი ინტერესი ამ საკითხისადმი“

„რესურსების არსებობა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით“

„განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ტრენინგის გავლა“

„დირექციის ხელშეწყობა“

„ვისურვებდი,ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალფეროვან მეთოდურ მასალას, სასურველია ამ საკითხთან კავშირში,სამუშაო შეხვედრების მოწყობა და მასში მონაწილეობის მიღება“

„კოლეგების მხრიდან უთიერთთანამშრომლობა“

„განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს კარგად უნდა იცნობდეს მასწავლებელი“

„რაიმე ისეთი აქტივობები,რომელიც მოანდომებს მასწავლებელს მის გამოყენებას“

„თუ რესურსები იქნება ხელმისაწვდომი,მასწავლებლებს მისი გამოყენების მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ“

„შეფასების ამ ფორმის მეტი პოპულარიზაცია,მასალების უფრო მეტად ხელმისაწვდომობა“

მასწავლებელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გაკვეთილზე ისინი ორივე ტიპის შეფასებას (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) თითქმის თანაბრად იყენებენ. ნაწილი აღნიშნავს,რომ განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ დროს იყენებს; გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს,რომ განმავითარებელი შეფასების საშუალებით ადგენენ,თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესათუ ის

საკითხი.მასწავლებლები ძირითადად ზეპირ გამოკითხვებს და კითხვების დასმას იყენებენ იმისათვის,რომ დაადგინონ მოსწავლემ როგორ გაიგო ესთუ ის საკითხი.

გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა,რომ მასწავლებელთა უმეტესობა იცნობს შეფასების გარკვევულ ინსტრუმენტებს, რამდენჯერმე მაინც გამოუყენებია ისინი,მაგრამ მაინც ძირითადად ერთ მათგანს (შეკითხვების დასმა) იყენებს ყოველდღიურად. მათი გამოყენების ხელისშემშლელ ფაქტორად ერთი ნაწილი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრიუმენტების არცონდას ასახელებს.მასწავლებელთა მეორე ნაწილი აღნიშნავს,რომ ისინი ფლობენ აღნიშნულ ინსტრუმენტებს, მაგრამ გაკვეთილზე არ რჩება დრო მის გამოსაყენებლად/ან დიდი ძალისხმევა სჭირდება მის გამოყენებას.მესამე ნაწილს კი დრო არ აქვს მის გასაცნობად.

მასწავლებლებმა განმავითარებელი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზად დროის დეფიციტი,სამუშაო შეხვედრების, რესურსების არ არსებობა და ამ საკითხის მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაასახელეს.

გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელშემწყობ ფაქტორად მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ინსტრუმენტების სრულყოფილი ცოდნა, მეორემ -სკოლაში რესურსების ბაზის არსებობა და მეთოდური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა დაასახელა,მესამე ნაწილისთვის კი კოლეგების მხრიდან ურთიერთთანამშრომლობა და დახმარების გაწევაა მნიშვნელოვანი.

ძალიან საინტერესო,მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი შეხედულებები ჰქონდათ მასწავლებელებს იმ მიზეზებზე,რაც ხელს შეუწყობდა გაკვეთილებზე

მასწავლებელთა მხრიდან განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.

5.3 კვლევის პროცესში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შეფერხებით გამოყენებასთან დაკავშირებით გამოკვეთილი მიზეზები

პედაგოგთა ანკეტირება-გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მიზეზები:

1.მასწავლებლები ან არ იცნობენ,ან იცნობენ მაგრამ კარგად ვერ ფლობენ მათ. ან კარგად იცნობენ, მაგრამ დრო არ რჩებათ მათ გამოსაყენებლად; ან არ ფიქრობენ რომ არ არის მათი გამოყენება მნიშვნელოვანი.

2. ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო,მასწავლებლებისთვის სიახლეს წარმოადგენს დისტანციური სწავლების პლატფორმა- Teams-ი, რომლის დაუფლებასაც სჭირდება დიდი დრო და რესურსები; გარდა ამისა,მასწავლებლები დატვირთულნი არიან სხვადასხვა აქტივობებითა და საქმიანობებით,რის გამოც დრო არ რჩებათ შესაბამისი ლიტერატურის მოძიებისა და გაცნობისთვის.

3. მასწავლებლებისთვის,მიუხედავად დირექციის კეთილგანწყობისა, მაინც არ არის ხელმისაწვდომი საჭირო და შესაბამისი რესურსები,რომელიც დაუზოგავს დროს და გაუადვილებს ამ ინსტრუმენტების გაცნობას უმოკლეს დროში; პედაგოგებისთვის

ნაკლებად ხელმისწავდომია მზა რესურსები/შაბლონები, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებლად შექმნან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

4.სკოლაში უფრო აქტიურად უნდა დაინერგოს თანამშრომლობითი კულტურა.

5. სკოლაში მასწავლებლებს არ აქვთ შესაბამისი კეთილმოწყობილი სამუშაო გარემო სივრცეები, არ არის კომფორტული გარემო ურთიერთთანამშრომლობისათვის (მაგ: არ არის კომპიუტრეული ლაბორატორია), სამუშაო შეხვედრების ოთახი, ინტერნეტსივრცე,სადაც ატვირთული და განთავსებული იქნება საჭირო მასალები,რესურსები,თვალსაჩინოებები,ასევე,არაა ხელმისწავდომი რესურსების მომზადებისთვის საჭირო ინვენტარი(პრინტერი,ქსეროქსი, პროექტორი,ფურცელი და სხვა)

5.4 ძირითადი დასკვნები

მოსწავლეთა აზრით, სკოლაში მათი უფრო მეტად განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანი მასწავლებელთა მხრიდან, საინტერესო, მიზანმიმართული აქტივობებისა და შეფასების მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება.თავის მხრივ,პედაგოგებიც მიიჩნევენ,რომ მოსწავლეთა განვითარებისათვის ერთ-ერთი ფაქტორი განმავითარებელი შეფასების კუთხის გაძლიერებაა,ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ მიმართულების გაძლიერება და ხელშეწყობა. რომ აუცილებელია მოსწავლე-მასწავლებელს ჰქონდეს შექმნილი კომფორტული სასწავლო გარემო; უზრუნველყოფილნი იყვნენ სასწავლო რესურსებითა და ინვენტარით;

თავი V

ინტერვენციების დაგეგმვის,განხორციელების და შეფასების ეტაპები

5.1 ინტერვენციები

კვლევის ფარგლებში,სკოლაში პედაგოგთა მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებთან დაკავშირებით განხორციელებული დაკვირვების მეთოდების საშუალებით,ასევე, მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენცია. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ, განვსაზღვრე კვლევის ძირითადი მიმართულებები, ის თუ რა აქტივობებით უნდა გამეცნო მასწავლებლებისთვის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და როგორ შემეწყო ხელი მათ გამოყენებაში.საინტერესო და მარტივი რესურსების მიწოდებით დამეზოგა დრო, მიტუმეტესს რომ კოვიდ-პანდემიის პირობებში სკოლა მუშაობდა ორცვლაში და ჩართული ყოფილიყო სკოლის პედაგოგთა უმეტესი ნაწილი.ასევე,გამეჯანსაღებინა სამუშაო გარემო და უფრო მეტად მომეხდინა პედაგოგთა გააქტიურება ამ მიმართულებით. აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ამ კუთხით მოსწავლეთა დამოკიდებულებაც. რადგან ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგი და ყველა მოსწავლე უკვე იცნობდა ახალ, დისტანციურ პლატფორმა -**Teams**-ს, ამიტომ შევქმენი სამუშაო ჯგუფი, პლატფორმა **Teams**- ის გამოყენებით, სადაც ყველა პედაგოგი იქნა ჩართული. ჯგუფში ასევე,დავამატე მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი,რომელიც კვლევაში აქტიურად იყო ჩართული და შეეძლო დახმარების გაწევა თანატოლთთათვის.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო სკოლას ორჯერ მოუწია გადასვლა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე,ამიტომაც შეხვედრა წარიმართა **Teams**-ის ჯგუფში, სადაც პედაგოგებმა ერთად განვიხილეთ პრობლემა, ვისაუბრეთ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პრობლემის მოგვარებისათვის ერთობლივ მუშაობას.

ამავე დროს,გავეცანი მრავალფეროვან ლიტერატურას სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით,რათა მომეხერხებინა მასწავლებლებითვის სხვადასხვა ტიპის საინტერესო და მიზნობრივი ატივობების შეთავაზება.

პედაგოგთა ატიური ჩართვისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით,საჭირო იყო ისეთი მიზანმიმართული აქტივობების მოფიქრება,რომელიც იქნებოდა მათი საჭიროებებისა და ინტერესების პირდაპირპროპორციული.

კოლეგებთან ერთობლივი მუშაობით დავსახეთ სამოქმედო გეგმა,რომელიც ითვალისწინებდა ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას და პოპულარიზაცია-დანერგვის ხელშეწყობას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით,დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი აქტოვობები:

პედაგოგთა ხელშეწყობა დამხმარე სასწავლო რესურსებით.

1. მეტი კომუნიკაციისა და რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით, პლატფორმა Teams-ში შევქმენი მასწავლებელთა ჯგუფი,რომელშიც გაერთიანდნენ მასწავლებლები: ლ.ბარბაქაძე; შ.ქიტესაშვილი; მოსწავლეები: ქ.სამხარაული; მ.გოჯაევა და ი.ინაშვილი.

2. შევქმენი ვიდეო-რგოლები (იხ.დანართი 2) განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შესახებ ვებ-აპლიკაცია **Powtoon.com** -ის გამოყენებით.ყველა შექმნილი ვიდეო-რგოლი ატვირთული და გაზიარებული იქნა **Teams**--ის მასწავლებელთა ჯგუფში.მინდა ავღნიშნო, რომ მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ ვიდეო-რგოლების ტექსტის მომზადება-კორექტირებაში. კვლევის ფარგლებში მომზადდა 9 ვიდეო-რგოლი.ნაწილი აიტვირთა **youtube**-ზე.

3. შევქმენი ოთხი **PP** პრეზენტაცია,(იხ.დანართი 3) განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების შესახებ.

4. ჩემი და სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით აიკრიფა 16 სახის ბეჭდური რესურსები-განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების მზა შაბლონების სახით, რომელიც გავრცელდა მასწავლებლებში.(იხ.დანართი 4).

სამუშაო განწყობის შექმნისთვის ფიზიკური გარემოს მოწყობა

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ამასთან ერთადაც განვიცდით საკლასო ოთახების სიმცირეს. ამის გამო სკოლის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა პედაგოგებისათვის ცალკე სივრცის მოწყობა. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ გაგვეუმჯობესებინა სამუსაო გარემო: დირექციის დახმარებით ტექნიკურად მომზადდა კომპიუტერი, დაიმუხტა პრინტერი. გამოიყო ყველა ის რესურსი,რომელიც საჭირო გახდა კვლევის ფარგლებში. ამოიბეჭდა ყველა საჭირო

მასალა (თეორიული,გამზადებული მზა შაბლონები), განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ.

2. ჩემი და ჩემი კოლეგის შ.ქიტესაშვილის ბლოგზე განვათავსეთ და გავავრცელეთ ინფორმაციები და შექმნილი რესურსები.

თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესება

1. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციისა, წესების სრული დაცვით, დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვერდები პედაგოგებთან.
2. შეხვედრები ტარდებოდა პირველი და მეორე ცვლის შუალედებში, კვირაში ერთხელ ან ორჯერ 50 დღის განმავლობაში. შეხვედრაზე პედაგოგები გაეცნენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას მზა ორგანიზატორების და შაბლონების დახმარებით.
3. მოეწყო PP პრეზენტაციები პედაგოგებისათვის განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შესახებ. (იხ.დანართი 3)
4. ჩატარდა და განხილულ იქნა **Powtoon.com**-ში შექმნილი ვიდეო-რგოლების პრეზენტაციები. (იხ.დანართი 2)
5. პედაგოგები გაეცნენ ციფრულ ტექნოლოგიას -**Googl-Forms**-სს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე რესურსი.

5.2 ინტერვენციის შედეგები

ჩატარებული და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მოხდა:

- ✓ პედაგოგები უფრო მეტად დაინტერესდნენ განმავითარებელი შეფასების ინტრუმენტებით;
- ✓ გამომდინარე ეპიდსიტუაციიდან შეძლებისდაგვარად ესწრებოდნენ შეხვედრებს;
- ✓ ისმენდნენ და ეცნობოდნენ ახალ მეთოდებს;
- ✓ სვამდნენ შეკითხვებს;
- ✓ აფიქსირებდნენ საკუთარ შეხედულებებს;
- ✓ მსჯელობდნენ განმავიტარებლი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობაზე.

მასწავლებელთა გამოკითხვით დავადგინე შემდეგი: მიუხედავად რთული და დაძაბული მიმდინარე სასწავლო წლისა,მათ მოსწონთ მსგავსი ტიპის შეხვედრები,კოლეგების აზრთა გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა. ასევე,მოსწონთ რესურსების ხელმისაწვდომობა და მზა შაბლონების გამოყენება, რაც მათთვის დროის დაზოგვის წინაპირობაა. იმ კოლეგებმა,რომლებიც აქტიურად სარგებლობენ ციფრული ტექნოლოგიიებით და უფრო მეტად აქვთ წვდომა ინტერნეტთან (ს.გოგიჩაშვილმა და შ.ქიტესაშვილმა), **google-** ფორმატში შექმნეს განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტის მზა შაბლონები, რომელთა გაზიარებაც მოხდა ერთ-ერთ სამუშაო შეხვერაზე.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დავადგინე, რომ მათ მოსწონთ ის ფაქტი, რომ მასწავლებლები უფრო მეტი აქტიურობით იყენებენ გაკვეთილებზე განმავითარებელი შეფასების ახალ-ახალ ინსტრუმენტებს, რაც მათთვის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს,

ასევე,მოსწონთ და ფიქრობენ რომ ყოველივე ეს მათი განვითარების და წარმატების ერთ-ერთი ხელშემწყობი მიდგომაა.

5.3 ძირითადი დასკვნები

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა,რომ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია:

- ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის მიუხედავად, რამაც საგრძნობლად იმოქმედა და გავლენა მოახდინა სწავლა-სწავლების პროცესზე, კვლევაში ჩართული პედაგოგები საგრძნობლად გააქტიურდნენ.გაეცნენ განმავითრაებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს,ასევე გაერკვნენ მათი მუშაობის პრინციპში და დაიწყეს აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.
- მრავალმხრივ დატვირთული და რთული,დაძაბული სამუშაო გრაფიკის მქონე პედაგოგებმა მოკლე დროში ,მინიმალური ძალისხმევის დახარჯვით შეძლეს სასარგებლო რესურსების გაცნობა.
- პედაგოგებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი მზა რესურსები/ნიმუშები, რომლებიც მათ შემდგომში დაეხმარება თავადაც შექმნან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.
- სკოლაში უფრო აქტიურად დაინერგა თანამშრომლობითი კულტურა.
- სკოლაში დირექციის ხელშეწყობით უფრო ხელმისაწვდომი გახდა რესურსების მომზადებისათვის საჭირო მასალა.(პრინტერი,კომპიუტერი,ფურცლები).

თავი VI

რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანება

6.1 რეკომენდაციები

- ✓ აუცილებელია მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ყველა ის ხელისშემშლელი ფაქტორი/ფაქტორები, რომელიც შეაფერხებს მასწავლებლის მხრიდან განმავითარებლი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.
- ✓ საჭიროა სკოლამ მუდმივად იზრუნოს შეფასებაზე, მოიფიქროს ისეთი გადაწყვეტილებები,რომელიც მიზანმიმართული იქნება მასწავლებელთა გააქტიურებაზე, მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკაში გამოყენება-დანერგვის დროს
- ✓ კათედრებს/პედაგოგებს მუდმივად მიეწოდოს ინფორმაცია,რესურსები და ლიტერატურა განმვითარებლი შეფასების ახალი ინსტრუმენტების შესახებ.
- ✓ სკოლამ უნდა უზრუნველყოს პედაგოგებისთვის კომფორტული ფიზიკური გარემოს შექმნა.
- ✓ სკოლამ პედაგოგებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს რესურსები, დაამატოს კომპიუტერი სამასწავლებლოში. ასევე,შეძლებისდაგვარად განათავსოს კომპიუტერები და პროექტორები კლასებში.
- ✓ სასურველია,დირექციამ ხელი შეუწყოს კოლეგებს/კათედრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის კულტურის დანერგვა-გაძლიერებას.

- ✓ სასურველია დირექციამ მოახდინოს ფოკუსირება პედაგოგთა ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებზე,რათა უფრო მეტი მოტივაციითა და ენტუზიაზმით განაგრძონ სასკოლო მოღვაწეობა.
- ✓ პატივი ვცეთ თითოეული პედაგოგის ინოვაციურ ხედვებს; ხელი შევუწყოთ მათ მიერ შემოტანილ სიახლეების დანერგვასა და პროფესიულ განვითარებას.

6.2 კვლევის შეზღუდვა

კვლევის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა რამდენიმე პრობლემას. პირველ რიგში ეს ეხება რამდენიმე პედაგოგის მოტივაციის დაბალ დონეს, მოუცლელობას და მიმღებლობის არ ქონას. მიუხედავად იმისა, რომ დარიგებული კითხვარები შეავსეს, არ გამოთქვეს სურვილი კვლეში მონაწილეობაზე,ნაწილი კი ფორმალურად იღებდა სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.

კვლევის ობიექტები: საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები (მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები) ჩვენს მიერ იქნა შერჩეული. კვლევაში არ იქნა ჩართული საბაზო საფეხურის მე-7 კლასის მოსწავლეები, რადგან ქიმიის სწავლება არ ხდება მე-7 კლასში.აქედან გამომდინარე, კვლევის ინიციატორი და ავტორი -მე, არ ვიცნობდი აღნიშნული კლასის მოსწავლეებს. რაც შეეხება დაწყებით საფეხურს,ამ საფეხურზე ისედაც მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება.

თავი VII

7.1 დასკვნა

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა სკოლის საჭიროების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესში (გაკვეთილზე) განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა და პრობლემის აღმოფხვრისათვის ოპტიმალური ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება.

კვლევის მიმდინარეობისას მიღებული შედეგებისა და მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები,რომელიც გავაცანით სკოლის დირექციას. მათ გამოთქვეს მზაობა და სურვილი,რომ დაინერგოს და ხელი შეეწყოს აღნიშნული ცვლილებების განვითარებას სასკოლო სივრცეში,ასევე, გაიზარდოს პედაგოგთა მხრიდან განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.რაც საბოლოოდ,მოსწავლის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

სკოლაში ამ მხრივ საფუძველი მომზადებულია.მიიღებს თუ არა გაწეული სამუშაო უფრო ფართო მასშტაბებს,ეს უკვე დამოკიდებულია კოლეგებისა და დირექციის ნებაზე. იმედს ვიტოვებ,რომ გაწეული შრომა ჰპოვებს უფრო ღრმა განვითარებას,რომელიც ვფიქრობ,რომ დადებითად აისახება თითოეული მოსწავლის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ეროვნული სასწავლო გეგმა. https://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo

2. სოფო გორგოძე, „ეფექტური განმავითარებელი შეფასება“. 2016 წ, .26 ოქტომბერი. http://mastsavlebeli.ge/?p=11953

3. .მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი. „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, 2018 წ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/310397.pdf

4. ნინო ლაბარტყავა, „რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება“, 2014წ, 19 მარტი, http://mastsavlebeli.ge/?p=2076

5.ლ, კოჰენი და სხვები, „კვლევის მეთოდები განათლებაში“, მეექვსე გამოცემა,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. ინტელის სასწავლო პროგრამა , „განმავითარებელი შეფასება“

https://docs.google.com/document/d/1Qtpk0CVrR6d9LEDDwGHceMNcm0RSalyqGdVRh3IrOvM/edit

7. სოფიკო ლობჟანიძე. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“, 2012 წ, 3 მაისი. http://mastsavlebeli.ge/?p=281

8. მაია გოგოლაძე, ნინო გვარამაძე, „განმავითარებელი შეფასება როგორც მოტივაციის ინსტრუმენტი“, 2020 წ, 29 მაისი. http://mastsavlebeli.ge/?p=26106

9.ქართულ -გერმანული სკოლა „სხივი“, „მოსწავლეთა შეფასება“

https://skhivi.edu.ge/მოსწავლეთა-შეფასება/

10. ირინა კიკვიძე. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება“ , 2013 წ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5265_1.pdf

დანართები

დანართი 1. კითხვარები.

კითხვარი ადმინისტრაციისთვის

მე ვარ ნინო სამხარაული. ვატარებ სკოლის საჭიროებების კვლევას თემაზე: „ ***სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები“***

თქვენი აზრი მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის გაგრძელებისა და წარმატებით დასრულებისათვის.წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. პატივისცემით: ნინო სამხარაული.

1.რას ფიქრობთ,ყოველდღიურად იყენებენ თუ არა მასწავლებლები გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს?

ა) ყოველთვის ბ) ხანდახან გ) იშვიათად დ) არასდროს

2.როგორ/რა საშუალებებით ადგენენ მასწავლებლები რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი).

ა)ატარებენ ტესტირებას.

ბ)ატარებენ ზეპირ გამოკითხვას.

გ)მოსწავლეებს ეკითხებიან

დ)იყენებენ გამოკითხვის სხვადასხვა ფორმებს.

3.რას ფიქრობთ,როგორია მასწავლებელთა დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების მიმართ ?

ა) ზოგადად დადებითი

ბ) ზოგადად უარყოფითი

გ) სრულიად დადებითი

დ) სრულიად უარყოფითი

4.თქვენი გამოცდილებით, განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებენ ყველაზე ხშირად მასწავლებლები? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა)შესასვლელი და გასასვლელი ბარათები

ბ) სწრაფი წერითი სამუშაო-ერთწუთიანი ესსე

გ) დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

დ)კითხვების დასმა

ე)გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება

ვ)ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ზ) „ქვიზი“

თ) ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე

ი) გრაფიკული ორგანიზატორები

კ) ორმაგი ჩანაწერების დღიური

ლ)მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

მ) მოსწვლეთა ინტერესების შესწავლის ფორმა

ნ) შეფასების რუბრიკა

ო) სხვა

5.რა არის, თქვენი აზრით, მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი).

ა)დრო არ რჩებათ მის გამოსაყენებლად.

ბ)არ იცნობენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს.

გ) რესურსების არასაკმარისობა(ფურცლები,ქსეროქსი,ინტერნეტი,კომპიუტერი და სხვა)

დ)დიდი ძალისხმევა სჭირდებათ მათი გამოყენებისთვის.

ე) მოსწავლეთა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

ვ) სხვა

6. რა არის თქვენი აზრით,განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების არცოდნის/ნაკლებად ცოდნის მიზეზი?

ა) დრო არ აქვთ მათ გასაცნობად და დასაუფლებლად.

ბ)არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

გ) სამუშაო შეხვედრების არარსებობა.

დ) სკოლაში გამოკითხვებისა და საჭიროებების დადგენის არარსებობა.

ე) სხვა

7. ისურვებდით თუ არა,რომ სკოლაში მასწავლებლებისთვის განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუნემტების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით სამუშაო ჯგუფმა იმუშაოს?

ა) დიახ ბ) არა

8. გთხოვთ,დაწეროთ რამდენიმე მიზეზი,რომლებიც ხელს შეუწყობდა მასწავლებლების მხრიდან გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.

კითხვარი მასწავლებლებისთვის

მე ვარ ნინო სამხარაული.ვატარებ სკოლის საჭიროებების კვლევას თემაზე: „ ***სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები“.***

თქვენი აზრი მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის გაგრძელებისა და წარმატებით დასრულებისათვის.წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. პატივისცემით: ნინო სამხარაული.

1. სამუშაო გამოცდილება

ა) 10 წლამდე

ბ) 10-დან 20 წლამდე

გ) 20-დან 30 წლამდე

დ) 30 წლის ზევით

2. რომელ საგანს ასწავლით?

ა) ქართული ენა და ლიტერატურა

ბ) რუსული ენა

გ) ინგლისური ენა

დ) მათემატიკა

ე) ფიზიკა

ვ) ქიმია

ზ)ბიოლოგია

თ)ისტორია

ი) გეოგრაფია

კ) სამოქალაქო განათლება

ლ) ხელოვნება

მ) სპორტი

ნ) საგზაო

ო) მუსიკა

3) სტატუსი

ა) პრაქტიკოსი ბ)უფროსი გ) წამყვანი დ) მენტორი ე) მაძიებელი

4) საკლასო შეფასების რომელ ფორმებს იცნობთ?

ა) განმსაზღვრელი

ბ) განმავითარებელი

გ) სხვა

5) შეფასების რომელ ფორმას იყენებთ უმეტესად?

ა) მხოლოდ განმსაზღვრელი

ბ) მხოლოდ განმავითარებელი

გ) ორივეს თანაბრად

დ) ორივეს არათანაბრად

6) როდის იყენებთ განმავითარებელ შეფასებას (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა) თემის/საკითხის შესწავლისას

ბ) თემის/საკითხის შესწავლამდე

გ) თემის/საკითხის შესწავლის შემდეგ

დ) ნებისმიერ დროს

7) ეთანხმებით თუ არა,რომ განმავითარებელი შეფასების მიზანია დაადგინოს,თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი.ის მოსწავლეს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს.

ა) დიახ ბ)არა გ) ნაწილობრივ

8) როგორ/რა საშუალებებით ადგენთ,რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა)ვატარებ ტესტირებას

ბ)ვატარებ ზეპირ თემატურ გამოკითხვას

გ)მოსწავლეებს ვეკითხები გაკვეთილზე

დ) ვატარებ მოსწავლეების გამოკითხვას სხვადასხვა ფორმით

9) განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტს იცნობთ?

ა)შესასვლელი და გასასვლელი ბარათები

ბ) სწრაფი წერითი სამუშაო-ერთწუთიანი ესსე

გ) დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

დ)კითხვების დასმა

ე)გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება

ვ)ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ზ) „ქვიზი“

თ) ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე

ი) გრაფიკული ორგანიზატორები

კ) ორმაგი ჩანაწერების დღიური

ლ)მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

მ) მოსწვლეთა ინტერესების შესწავლის ფორმა

ნ) შეფასების რუბრიკა

ო) სხვა

10) ჩამოთვლილთაგან რომელი ინსტრუმენტები გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში ერთხელ მაინც?

ა)შესასვლელი და გასასვლელი ბარათები

ბ) სწრაფი წერითი სამუშაო-ერთწუთიანი ესსე

გ) დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

დ)კითხვების დასმა

ე)გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება

ვ)ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ზ) „ქვიზი“

თ)ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე

ი)გრაფიკული ორგანიზატორები

კ)ორმაგი ჩანაწერების დღიური

ლ)მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

მ) მოსწვლეთა ინტერესების შესწავლის ფორმა

ნ)შეფასების რუბრიკა

ო) სხვა

11) ჩამოთვლილთაგან რომელ ინსტრუმენტებს იყენებთ სასწავლო პროცესში ყოველდღიურად?

ა)შესასვლელი და გასასვლელი ბარათები

ბ) სწრაფი წერითი სამუშაო-ერთწუთიანი ესსე

გ) დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

დ)კითხვების დასმა

ე)გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება

ვ)ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ზ) „ქვიზი“

თ)ვიცი,მინდა ვიცოდე,ვისწავლე

ი)გრაფიკული ორგანიზატორები

კ)ორმაგი ჩანაწერების დღიური

ლ)მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

მ) მოსწვლეთა ინტერესების შესწავლის ფორმა

ნ)შეფასების რუბრიკა

ო) სხვა

12) რა არის,თქვენი აზრით გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი).

ა) კარგად არ ვიცნობ განმავითარებელი შეფასების ინსტრუნენტებს.

ბ) ვფლობ,მაგრამ დრო არ მრჩება მის გამოსაყენებლად.

გ) სკოლაში რესურსების არასაკმარისობა (ფურცლები,ქსეროქსი,კომპიუტერი,ინტერნეტი და სხვა)

დ) დიდი ძალისხმევა მჭირდება მის გამოსაყენებლად

ე)დრო არ მაქვს მის გასაცნობად და დასაუფლებლად

ვ)სხვა

13.რა არის,თქვენი აზრით გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორი?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი.

ა)ინსტრუმენტების სრულყოფილი ცოდნა

ბ)სკოლაში რესურსების ბაზის არსებობა

გ)მეთოდური ლიტერატურის ხელმისაწვდომობა

დ) კოლეგების მხრიდან ურთიერთთანამშრომლობა

ე) მოსწავლეების კეთილგანწყობა

ვ)სხვა

14. რა რის,თქვენი აზრით,განმავითრებელი ინსტრუმენტების არცოდნის /ნაკლებად ცოდნის მიზეზი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა)დროის დეფიციტი

ბ)არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ

გ) დირექციის არასაკმარისი ხელშეწყობა

დ)სკოლის ბაზაზე განვითარების შეუძლებლობა

ე)სამუშაო შეხვედრების არარსებობა

ვ)მწირი მეთოდური მასალა

ზ)სკოლაში გამოკითხვების და საჭიროებების დადგენის არარსებობა

თ) სხვა

15. სწავლა-სწავლების პროცესში სასწავლო შეფასების წარმატებით განხორციელებისთვის ისურვებდით თუ არა ამ თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას?

ა) დიახ ბ) არა

16. გთხოვთ, დაწეროთ რამდენიმე მიზეზი,რომელიც თქვენი აზრით,ხელს შეუწყობდა გაკვეთილზე მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას.----------

---------- ---------- ----------

კითხვარი მოსწავლეებისთვის

მე ვარ ნინო სამხარაული.ვატარებ სკოლის საჭიროების კვლევას თემაზე: „ სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები“.

გთხოვთ,კითხვარის შევსებამდე თქვენმა მშობელმა შეავსოს ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფი ფორმა და დამიდასტუროს ხელმოწერით,რომ თანახმა არის კვლევის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოთ ანკეტირებაში.

თქვენი აზრი მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის გაგრძელებისა და წარმატებით დასრულებისათვის. წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. პატივისცემით: ნინო სამხარაული.

1. **რომელ კლასში სწავლობთ?**

ა) მე-8 ბ) მე-9 გ) მე-10 დ)მე-11 ე)მე-12

2. **განმსაზღვრელ შეფასებას -ქულებს მასწავლებლები სასწავლო თემაზე/საკითხზე მუშაობის დასრულების შემდეგ იყენებენ.მისი მიზანია დაადგინოს,თუ როგორ აითვისა მოსწავლემ თემა/საკითხი და რა ქულას იმსახურებს იგი. თქვენი აზრით,რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები მას?**

ა) არასდროს ბ) ხშირად გ) ხანდახან დ) იშვიათად

3) **განმავითარებელ შეფასებას -კომენტარებს მასწავლებლები კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას იყენებენ. მისი მიზანია დაადგინოს,თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. თქვენი აზრით, რამდენად ხშირად იყენებენ მას მასწავლებლები.**

ა) არასოდეს ბ) ხშირად გ) ხანდახან გ) იშვიათად

4)თქვენ,როგორც მოსწავლე,რომელ შეფასებას ანიჭებთ უპირატესობას?

ა)მხოლოდ ქულებით შეფასებას.

ბ) ნაწილობრივ ქულებით და ნაწილობრივ კომენტარებით.

გ) უმეტესად კომენტარებით და იშვიათად ქულებით.

5)თქვენი აზრით,მასწავლებლების მიერ გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარი(შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა)მეხმარება სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში

ბ) მეხმარება შეცდომების გამოსწორებაში

გ)მეხმარება მომდევნო დავალების/გაკვეთილის უკეთ მომზადებაში

დ)არ ვაქცევ ყურადღებას მასწავლებლის კომენტარებს

ე)არაფერში არ მეხმარება.

6)თქვენი აზრით,მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე დასმული შეკითხვები (შეიძლება მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა)მეხმარება იმის დადგენაში რა ვიცი და რა არა.

ბ)მეხმარება სასწავლო მასალის უკეთ გაგებაში

გ)მეხმარება მეტად დავფიქრდე ამათუიმ თემაზე

დ)არაფერში არ მეხმარება

ე)ჩემში შიშს იწვევს

ვ) მოსაბეზრებელია

7)ჩამოთვლილთაგან რომელს იყენებენ მასწავლებლები გაკვეთილზე ყოველდღიურად?(შეიძლება მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა) შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები

ბ)სწრაფი წერითი სამუშაო-ესსე

გ) დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე

დ)კითხვების დასმა

ე)გაგება-გააზრების სწრაფი შევსება

ვ)ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ზ)ვიცი,მინდა ვიცოდე, ვისწავლე

თ)სხვადასხვა გრაფიკული ორგანიზატორები,მაგ: ვენის დიაგრამა,ცნებების რუკა და სხვა.

ი)შეფასების და თვითშეფასების რუბრიკა.

კ)გაგება-გააზრების სწრაფი შეფასება-მაგ: შუქნიშანი,ცერები მაღლა-დაბლა.

8) თქვენი აზრით,რა არის მასწავლებლის მიერ სიტყვიერი/წერილობითი კომენტარის,დასმული შეკითხვის,შეფასების რუბრიკის (და სხვა განმავითარებელი შეფასების) მიზანი?

თქვენი პასუხი----------

---

9) რა სარგებლის მომტანია თქვენთვის მასწავლებლის მიერ გაკეთებული სიტყვიერი/წერილობითი კომენტარი,დასმული შეკითხვა,შეფასების რუბრიკა (და სხვა განმავითარებელი შეფასება)

თქვენი პასუხი----------

ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფი ფორმა.

ქალბატონო/ბატონო----------

ვაწარმოებ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტსი სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საჭიროების კვლევას. გთხოვთ,დამიდასტუროთ ხელმოწერით,რომ თანახმა ხართ, კვლევის ფარგლებში ვაწარმოო თქვენ შვილთან ---------- ინტერვიუ-ანკეტირება.

პატივისცემით: ნინო სამხარაული

მშობლის ხელმოწერა:----------

დანართი 2.

კვლევის ფარგლებში შექმნილი ვიდეო-რგოლები.

1.https://drive.google.com/file/d/1Z4Ix2LEo_EHNqxZBuixjBX_f8wllnYH8/view?usp=sharing

2.https://drive.google.com/file/d/18CG-t1sYg4iTdLupXAqQGB1cLM1hhHcd/view?usp=sharing

3.https://drive.google.com/file/d/1Yu5RQ35TRgegDaHS7sXxi6aP-i3uPJcU/view?usp=sharing

4.https://drive.google.com/file/d/1gkifYjuXvLXEnnRmkRuEeSKQfRsKiWiJ/view?usp=sharing

5.https://drive.google.com/file/d/1_f8ZJaL0LQb3OUf3ghEkWDyuCcN2do_P/view?usp=sharing

6.https://drive.google.com/file/d/18X69qSJ6F3ccUNWO6vrAFBh3zdXsTutQ/view?usp=sharing.

7.https://drive.google.com/file/d/199aJtDMqcdPJPbTnVJEbCsmXg3ZAEk7K/view?usp=sharing

8.https://drive.google.com/file/d/1zydtLYTS_N4Q_XAMDMRZL24oEZsNOPtb/view?usp=sharing

9.https://drive.google.com/file/d/1QGQN-OXnBcpDeWLml76NWojbuUUEpg2Q/view?usp=sharing

დანართი 3.

კვლევის ფარგლებში შექმნილი PP პრეზენტაციები.

1.https://drive.google.com/file/d/1EId1sQYSQbhPNXKlXAO5LPToFq9FSQxB/view?usp=sharing

2.https://drive.google.com/file/d/1ZADL-kAn2b2uAB2XmF0HQaNwB9rEykK3/view?usp=sharing

3.https://drive.google.com/file/d/1F7OTxgTgPtmAsJXoNeyyuYSnHkS1UnFs/view?usp=sharing

4.https://drive.google.com/file/d/1dwi9hcbDHla0v0mzk_vM6tnMZPZXhIs2/view?usp=sharing

დანართი 4.

კვლევის დროს შექმნილი ბეჭდური რესურსები- მზა შაბლონები

1. https://drive.google.com/file/d/1JWxZLTdVgRRBUjKPZgum2LcQ4PX-7FA9/view?usp=sharing
2. https://docs.google.com/document/d/1yhx6LWZBPTnp9a6gjuv49TlrvUQjbIwjUo-_Wq9Kjmk/edit?usp=sharing
3. https://drive.google.com/file/d/1xPBeoIRrSWOA06HhuwX7-oAm9xD0kstS/view?usp=sharing
4. https://drive.google.com/file/d/1a4uRzHAj49JCE6mXAi9ZU-RICMsTtDvs/view?usp=sharing
5. https://drive.google.com/file/d/1RpzMJpaIiUPlBgvwQ0U3rLf4Za7twBN9/view?usp=sharing
6. https://drive.google.com/file/d/14S-wtRRtd51OX6ZeCesKr5wLqpYS6Fkj/view?usp=sharing
7. https://drive.google.com/file/d/1hp5uNUoeH3YrFTkALq-A2eg43dm2keAm/view?usp=sharing
8. https://drive.google.com/file/d/1Fh7q7HtL4A-l1o0d1bG5wrHeb7RfTd47/view?usp=sharing
9. https://drive.google.com/file/d/1x0WSKpjPHFD4v8SzsdfeX3Uh0prjBhvf/view?usp=sharing
10. https://drive.google.com/file/d/1ORXCHGWBDn41V66-QV9sQHT-PD6ekxfh/view?usp=sharing
11. https://drive.google.com/file/d/1ffHrukYRis9dKTcX4oq-_7SOWtR283LL/view?usp=sharing
12. https://drive.google.com/file/d/1PzEFdOcki_agDwiH35tQx6_DDtfb-jon/view?usp=sharing
13. https://drive.google.com/file/d/1MDs2MB37hwZZ6ApFdboPyoptmfcPjhBi/view?usp=sharing
14. https://drive.google.com/file/d/1oMuI6VgXzRollvYj1BM6mkgBv0yEwyLI/view?usp=sharing
15. https://drive.google.com/file/d/1CfixkHGuYlXDPVeWR2pbMm_y4Tz6ABHb/view?usp=sharing
16. https://drive.google.com/file/d/15VtiloZ_2Ou69Q-WcLgaL96_-k5nWVZI/view?usp=sharing

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში დავგეგმე და განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კვლევა,თემაზე: „განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი მათი დაძლევის გზები“.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო სივრცეში მასწავლებელთა მხრიდან განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა, შესაბამისი გეგმის მოფიქრება, ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება.

ჩემს მიერ განხორციელებულმა კვლევამ, კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა, შექმნილმა რესურსებმა და მზა ორგანიზატორებმა, ვფიქრობ, ხელი შეუწყო სასკოლო გარემოს- შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე, გამხდარიყო უფრო საინტერესო, თანამშრომლობითი და პოზიტიური. კვლევის ფარგლებში შეიქმნა ბეჭდური და ციფრული რესურსები, რომელთა გამოყენებაც პედაგოგებს დაეხმარათ სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და მოსწავლის სწავლა-სწავლების ინტერესებზე ყოფილიყო მეტად მორგებული.

მიღებული შედეგი იყო დადებითი და ჩავთვალე,რომ საინტერესო იქნებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება. კვლევის ანგარიშის წარდგენა მომიწია მასწავლებელთა არა სრულ შემადგენლობასთან, არამედ მხოლოდ გარკვეულ ნაწილთან,ქვეყანაში და ჩვენს გარშემო შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე,რომელიც კორონა ვირუსს უკავშირდებოდა.

მსმენელმა პედაგოგებმა დაადასტურეს,რომ საკვლევი თემა და კვლევის საკითხი აქტუალურია, როგორც ჩვენს სკოლაში,ისე ზოგადად, თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მსმენელებს საშუალება ჰქონდათ თამამად და ღიად გამოეხატათ საკუთარი აზრი,შეხედულებები და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება კვლევის ირგვლივ წამოჭრილ საკითხებზე.

მსჯელობის საგანი გახდა კვლევის შედეგების სარგებელი პედაგოგებისთვის. რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა,რომ მოეწონათ კვლევის ფარგლებში შექმნილი საინტერესო და მრავალფეროვანი შეფასების ინტრუმენტების შესახებ საინფორმაციო მასალები და მზა შაბლონები.

უკუკავშირები იყო დადებითიც და უარყოფითიც.მიუხედავად,მასწავლებელთა დადებითი შეფასებისა, ერთ-ერთმა მასწავლებემა გამოთქვა აზრი იმის შესახებ,რომ განმავითარებელი შეფასების საინტერესო ინსტრუმენტები ამ ეტაპისთვის მისთვის ზედმეტი შრომა დ ტვირთია.

წარმოდგენილ კვლევის ანგარიშს წესისამებრ, ავტვირთავ და გამოვაქვეყნებ როგორც სკოლის,ისე პირად ბლოგზე,რათა დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდეთ, მოიძიონ და ნახონ ნებისმიერ დროს. ყველა პედაგოგს და დაინტერესებულ ადამიანებს ვუსურვებ წარმატებას.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის

N3 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი:

ნინო სამხარაული.